ქართველთა ეროვნება

წერილი

პროფესსორის ნ. მარრისა

იმ სიტყვის გამო
რომელიც დეკანოზს ი. ვოსტორგოვს წარმოუთქვამს
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე რ ზ ე დ

უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარჩინებულ პირთა
კრების წინაშე

რუსულიდგან

ქ უ თ ა ი ს ი
ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა
1905

Дозволено цензорою.
Тифлисъ, 13 Августа 1905 .

ქართველთა ეროვნება

პროფესსორის ნ. მარრის წერილი

(იმ სიტყვის გამო, რომელიც დეკანოზს **ი. ვ**ოსტორგოვს საქართველოს ერზედ წარმოუთქვამს, უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარჩინებულ პირთა კრების წინაშე*)

„გარნა ესენი, რაოდენნი არა
იციან, ჰგმობენ. ესენი არიან, რო-
მელნი განიშორებენ თავთა თვისთა

ქართველთა ეროვნება

ქართველთა ეროვნება

პროფესორის ნ. მარრის წერილი

(იმ სიტყვის გამო, რომელიც დეკანოზს **ი. ვ**ოსტორგოვს საქართველოს ერზედ წარმოუთქვამს, უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარჩინებულ პირთა კრების წინაშე*)

„გარნა ესენი, რაოდენნი არა იციან, ჰგმობენ. ესენი არიან, რომელნი განიშორებენ თავთა თვისთა (სარწმუნოებისაგან), მშვინიერნი, რომელთა სულ არა აქვს.“

(სამოციქულო, ეპისტოლე იუდა მოციქულისა, ძმისა იაკობისა, თავი პირველი, მუხლი მეათე და მეცამეტე)

დიდი ხანი არ არის, რაც **ა. ს**უვორინმა თავის „პატარა წერილებში“ ·(ნახე რუსული გაზეთი „ახალი დროება“) სამართლიანად აღნიშნა ერთი საოცარი მოვლენა. **კ**ავკასიის შესახებ და ეხლანდელის აქაურის მღელვარების გამო მას არა ერთხელ გაუგონია თურმე ამ უკანასკნელ დროს: „**ღ**ვთის გულისათვის, რაც შეიძლება ლმობიერად, ლმობიე-

---

*) წერილი პროფესორის ნ. მარრისა დაბეჭდილია „Разсвѣть“-ის 68 და 69 ნომრებში 14 და 15 მაისს 1905 წ.

რება უმთავრესია, ლმობიერებით ყველაფერი გაკეთ-
დებაო;“ მაგრამ არ ახსოვს კი, ერთხელ მაინც
ეთქვას ვისმე: „ღვთის გულისათვის, რაც შეიძლება
გონიერად, გონიერება უმთავრესია, გონიერებით
ყოველიფერი გაკეთდებაო“. გონიერება ყოველთვის
შეიძლება ვიგულისხმოთ, თუგინდ ლმოგიერი, რბი-
ლი, ბამბასავით რბილი, როგორც „პატარა წერი-
ლების“ ავტორი განმარტებს, მაგრამ ის კი არას
გზით არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მომაკვდავს
კაცს ჰქონდეს ზეგარდამო მადლსავით საიდუმლოდ
მინიჭებული ცოდნა. და უთუოდ, დამტკიცები-
თაც შეიძლება ესა ვსთქვათ, არავის არ გაუგო-
ნია ამ უკანასკნელს ნახევარ-საუკუნეში კავკასიის
შესახებ: „ღვთის გულისათვის, ცოდნითა და მეც-
ნიერებით, ცოდნა და მეცნიერება უმთავრესია,
უცოდინაროდ არაფერი არ გაკეთდებაო. მაგიერად
ამიერ-კავკასიაში ნამდვილ ამბვად გამიგონია, თუმცა
ეს არაკს უფრო ემსგავსება, რომ, როდესაც ერთმა
პირმა მოულოდნელად უმაღლესი დანიშნულება
მიიღო, გულუბრყვილოდ გაიკვირვა და ჰსთქვა: ეს
რა ამბავია, კავკასია ჩემთვის ხომ სრულიად უცნო-
ბი მხარეაო? მას უპასუხეს, სწორედ ეს უკეთესიც
არისო, თქვენ უფრო თავისუფლად იმოქმედებთო.
ამ თავისუფლად მოქმედ კავკასიის მოღვაწეთაგანი
უნდა იყოს, უეჭველად, დეკანოზი ი. ვოსტორგო-
ვიც: მამა ვოსტორგოვი გულახდილად განაცხადებს,
რომ, როცა ის ათის წლის წინათ ამიერ-კავკასიაში
ჩამოვიდა სამსახურისათვის, სრულიად არაფერი არ

სცოდნია ამ მხარის შესახები, ანუ, როგორც თვი-
თონ ავტორი ამბობს (გვ. 307), მას ყოველივე
აქაური ახლად სჩვენებია და ყოველივე მისგან შეს-
წავლასა და ფხიზელს ყურადღებას მოითხოვდა.
ნაყოფი ამ ათის წლის განმავალობაში ამიერ კავკა-
სიის ფხიზელის ყურადღებით შესწავლისა ჩვენ ვიპოვ-
ნეთ ვოსტორგოვის წერილში სახელად „საეკლესიო
შკოლა ამიერ-კავკასიაში“ (ნახე „народное обра-
зованіе“ 1905, მარტი, გვ. 307 – 337). აგრე
მარტივია მისი სათაური. შინაარსით კი ეს წერილი
არის მინიატურული ენციკლოპედია სარელიგიო
ყოფაცხოვრებისა და სხვა ცნობებისა ამიერ-კავკა-
სიის შესახებ. ამ წერილის უმთავრესი მიმზიდველო-
ბითი ძალა კი გამოიხატება ისტორიულ-კულტურუ-
ლად საქართველოს შიმოხილვაში და ქართველოთა
ტომების, ე. ი. საქართველოს ერის, დახასიათებაში.

დეკ. ვოსტორგოვის ძლიერი სიტყვა ქართველ-
თა ეროვნებაზედ, როგორც სპეციალური რაიმე,
ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნებოდა განზე გა-
დაგვედვა და არავითარი ყურადღება მისთვის არ მი-
გვექცია. საზოგადოთ ეს სტატია წარმოადგენს, ჩე-
მის შეხედულობით, საუკადრისო პამფლეტს. თავის
ღირსებით ამ სტატიას შეუძლიან გამოიწვიოს ერთი-
ოდენ სიბრალული მის ავტორისადმი. თავდაპირველ
სტატია ამხილებს ავტორის ჩვეულებრივს უცოდი-
ნარობას ელემენტარულის გეოგრაფიისას, თითქმის
კავკასიის მოსამზღვრე ადგილთა გეოგრაფიისასაც.
ვოსტორგოვის ცნობებით სჩანს, ვითომც გურია

აქამდის ოსმალეთის მოსამზღვრე იყოს. აი ნამდვილი მისი სიტყვები (გვ. 314): „გურია – ოზურგეთის მაზრა ქუთაისის გუბერნიისა, მდებარეობს ოსმალეთის საზღვრებზედ.“ ისტორიულ ქართველთაგან ვოსტორგოვი პოულობს რამდენსამე მხოლოდ შავიზღვის ნაპირა ჭალებზედ. ცხადია, მას არაფერი სცოდნია, თუ რა ეკლესიებია ქართველთაგან აგებული, სხვაგან რომ არა ვსთქვათ, შავიზღვის პირად მდებარე მთა-გორიან მხარეებში.

ისტორიაშიაც არა ჰქონია ავტორს გამოსაჩენი ცოდნა. განსაკუთრებით სუსტი ყოფილა იგი ისტორიაშიაც. ძველი ალბანია, ვოსტორგოვის აზრით, სრულიად დაამხვესო თურქთა და თათართა ურდოებმა, რომელნიც შემდეგ შეიერთაო საშიშარმა ახალ-სპარსეთის მონარქიამ (გვ. 308 და აგრეთვე 326). სჩანს, ვოსტორგოვს არა სცოდნია, რომ დაეცა ქართველთა და სომეხთათანა კულტურულ ბრძოლაში: ნაწილი მისი მეათე საუკუნემდის სამუდამოთ საქართველოს შეუერთდა და ნაწილი ამაზედ ადრე სომხეთს. ვოსტორგოვი ლაპარაკობს ვიღაც აბორიგენებზედ, ძველის-ძველად საქართველოში მცხოვრებს ტომებზედ, რომელნიც ქართველებს განუდევნიათ კახეთისა და ქართლისაკენ და ზღვის პირად მდებარე ჭალებისაკენ, სადაც იმ დროდგან ურთბაშად თურმე დაარსებულა საქართველოს სამეფო, რომელიც, მეთუთხმეტე საუკუნეში გაყოფილა

საქართველოდ, იმერეთად და სამეგრელოდ (გვ. 308). ეს სულ რაღაც უხერხული კომპოზიცია არის, რომელიც, ცხადათ სჩანს, ვოსტორგოვს შეუთხზავს სხვა და სხვა დილეტანტების მიერ უმეცრებით წამოროშვილის ამბებისაგან და მათ მიერვე გაუგებლად გარდაცემულის ქართულ მატიანეთა ლეგენდარულის და ტენდენციულის ცნობებისაგან. საკმაოა ვსთქვათ, რომ „გრუზია“ (ანუ ქართლი), იმერეთი და სამეგრელო ცნობილი არიან არა თუ მეთუთხმეტე საუკუნიდგან, არამედ რამდენისამე საუკუნით წინ ქრისტეს დაბადებამდის და საქართველოს სამეფო ზემოხსენებულ მხარეებში (რომელნიც შეადგენენ ნაწილს ძველადგანვე ქართველთა ნათესავის ტომებით დასახლებულის რაიონისას) მრავალ საკუნით წინ მეთუთხმეტე საუკუნემდის განიყოფებოდა რამდენსამე სამეფოდ. ავტორიტეტულად გამოსთქვამს დეკ. ვოსტორგოვი უსაფუძვლო მსჯელობას ადგილობრივ ენათა ურთიერთობაზედ, მაშინ როდესაც, როგორც ცხადათ სჩანს, არც ერთ ამ ენაზედ ავტორს სრულიად არავითარი წარმოდგენა არა აქვს. მან საზოგადოთ სრულიად არაფერი იცის თანამედროვე ენათ-მეცნიერების. ავტორმა, რასაკვირველია არაფერი იცის, თუ რა არის დიალეკტოლოგია და გულუბრყვილოდ სთვლის გარდაწყვეტილად ჯერ კიდევ სრულიად განუმარტებელს საკითხებს კავკასიის ენათა შესახებ. საკმაოა ვსთქვათ, რომ ვოსტორგოვის ტერმინოლოგიით არსებობენ თურმე „წამცდარი ენები“. თუშები

ზოგნი სრულიად დამახინჯებულ ქართულად ლაპა-
რაკობენო (გვ· 314 – 315). აქვე, კავკასიაში, ვოს-
ტორგოვს მოუნახავს წამხდარი ბერძნული ენაც
(გვ. 322). სვანები განსაკუთრებულის ენით ლაპა-
რაკობენო, რომელშიაც ხანდახან წამხდარი ქართუ-
ლი სიტყვები ისმისო (გვ. 316) ე. ი. ვოსტორ-
გოვმა არც ის იცის, რომ სვანები შინაობაში ლა-
პარაკობენ ქართულის ენის ძმურად მონათესავე
ენით, რომელსაც საზოგადო კულტურულის ენისა-
გან სამატად შეუთვისებია არა დამახინჯებული,
არამედ განკანონებულის წესით გარდაცვლილი წმინ-
და ქართული სიტყვები. შემდეგ ვოსტორგოვი ამ-
ტკიცებს (გვ. 327), რომ სომხებს ბევრი სხვა და
სხვა ენა აქვსო და ის ენა, რომელსაც სალიტერა-
ტურო ენად სთვლიან, ბევრს სომეხთაგანს არ ეს-
მისო. აქ ვოსტორგოვი აღარ ამბობს, რომ თითე-
ეული იმ მრავალრიცხვოვან ენათაგანი, მისის ტერ-
მინოლოგიით, წამხდარი სომხური ენა არისო, თუმ-
ცა კი ამის თქმის სრული უფლება ჰქონდა. მისის
ძირითადის რწმენით ხომ კავკასიის ენები ყველა
წამხდარი არიან. ნამდვილად სომხებს ერთი კი არა
სამი სალიტერატურო ენა აქვსთ: ძველი, იგივე
საეკლესიო, ახალი აღმოსავლეთური და ახალი
დასავლეთური. ახალ სალიტერატურო ენათაგან
აღმოსავლეთურიცა და დასავლეთურიც გასაგებია
უცილობლად ყველა სომხისათვის იმდენად, რამდე-
ნათაც თითოეულის რუსისათვის. რუსული სალიტე·
რატურო ენა და ძველი სომხური ენა, შეუდარებ-

ლად უფრო გასაგებია სომხებისათვის, ვინეშ რუ-
სული, შემოღებული მართლ-მადიდებლებისა და
სასულიერო სომხურ შკოლებში, როგორც სამას-
წავლებლო ენა. ქართველთა კულტურულ ისტო-
რიისა და ამასთანავე ქართველთა ნაციონალურ
საკითხის შესახებ ვოსტორგოვს კიდეც უფრო ნაკ-
ლები ცოდნა ჰქონია. ამას ჰგონია, „საქართველო“
მხოლოდ ეთნოგრაფიული ტერმინი არისო და სა-
ქართველოს, ანუ ქართველთა ნათესავის ტომები
იმდენათვე განსხვავდებიანო ერთმანერთისაგან, რამ-
დენათაც გერმანული და რომანული ტომები.

შესაძლებელია, ეგ საოცარი და სინამდვილეს
წინააღმდეგი განმარტება „საქართველოისა“ იმით
აიხსნებოდეს, რომ ვოსტორგოვს რომანულსა და
გერმანულს ტომებზედაც, როგორც სჩანს, კიდევ
უფრო ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია, ვინემ
ქართველთა ტომებზედ. აქნება ვოსტორგოვი შეუც-
დენია ვისმე შინაურს კავკასიელ ლინგვისტს, რო-
მელსაც ქართულის ენის დიალეკტური განსხვავება,
სხვა და სხვა ადგილობრივ გამოთქმითა და კილოთი
საუბარი და ენა, რომელზედაც წერა-კითხვა არ
არსებობს და დიდი ხანია მდაბიო პატუად გარდაქ-
ცეულა, თუმცა ყველა ესენი, რასაკვირველია, გა-
ნუყრელად ერთს მონათესავე ენას წარმოადგენენ,
მიუღია იმისთანა ნიშნებად, რომლითაც თითქო
ირღვევოდეს ერთობა კულტურულის საქართველოი-
სა. ამ შემთხვევაში შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ
ვოსტორგოვს არ ჰქონია არავითარი ნამდვილი წარ-

მოდგენა რეალურის ლინგვისტურის ფიზიონომიისა
იმისთანა გაერთიანებულ ევროპიელ ეროვნებათა,
როგორიც არიან გერმანელები, იტალიელები და
თვით ფრანგებიც. უნდა ვიფიქროთ, რომ მას აურ-
დაურევია ერთმანერთში ლინგვისტური საკითხები
საზოგადო-კულტურულ საკითხებთან და ეთნოგრა-
ფიული – ნაციონალურთან. „საქართველო“ არის
ტერმინი უპირველესად ნაციონალურ-კულტურული.
საქართველო ლინგვისტურად დანაწილებული ყოფი-
ლა ძველის-ძველადაც (როდესაც ეს ნაწილები უფ-
რო დაშორებულიც ყოფილან ერთიერთმანერთისა-
გან) სხვა და სხვა ძმურად მონათესავე ენებად, დია-
ლეკტებად და უბნობებად. იგი ჩვეულებრივ განი-
ყოფებოდა სხვა და სხვა სახელმწიფოებად, მაგრამ
ამასთანავე საქართველო ყოფილა მრთელი, რო-
გორც ნაციონალურ-კულტურული ერთეული. მისი
შემაერთებელი იყო, ქრისტიანობის მიღებიდგან,
სხვათა შორის ეკლესია და საზოგადო სალიტერა-
ტურო ენა. შემდეგ ლიტერატურა შემუშავდა (გან-
ვითარდა საერო ლიტერატურაცა, ხელოვნური,
ძველათვე) და კიდევ უფრო მჭიდროთ და ძლიერად
შეაკავშირა საქართველოს ტომები. განმტკიცდა და
დამყარდა ადგილობრივი ნაციონალური კულტურა
ერთის სალიტერატურო ენითურთ და ეს სალიტე-
რატურო ენა ცნობილ იქმნა ქართულად. ეს სახე-
ლი სწორია და მეცნიერულად კანონიერი მხოლოდ
იმ შეხედულობის გამო, თუ ჩვენ ლინგვისტურად
განვმარტებთ მისს დიალექტურ საფუძველს. შეიძ-

ლება ვსთქვათ, რომ ეს სახელი სწორია ისტორიუ-
ლის შეხედულებით რადგანაც ამ საქმის მოთავეობა
ეკუთვნოდათ ეთნოგრაფიულად და დიალექტოლო-
გიურად ქართველებად ცნობილს ტომებს, მაგრამ
ეს იყო მეხუთე საუკუნეში ქრისტეს აქეთ. მერმე
მეექვსე და მეშვიდე საუკუნიდან ამ სალიტერატუ-
რო ენის განვითარებაში მიიღებენ მონაწილეობას
ქართლელ-ქ·ართველებს გარდა სხვა ქართველთა ტო-
მებიც: იმერლები, მეგრელები, სვანები, ჭანები და
სხვანი და ამათ საზოგადო ქართულ ლიტერატურა-
ში ერთობით შეაქვსთ, რასაკვირველია, უფრო დი-
დი განძი, ვინემ თვით ქართლელებს· და ამგვარად
ტომებრივი ლიტერატურა მათი გარდაიქმნა ნაციო-
ნალურად და სალიტერატურო ენა ქართულ დია-
ლექტურისაგან ზოგად-ქართველთა ენად· ა ამის-
გამო მრავალი ადგილები ქართველთათვის უძვირ-
ფასესის პოემის „ვეფხის ტყაოსნისა“ უფრო კარ-
გად ესმისთ, მაგალითად, გურულებს, ანუ იმერ-
ლებს, ვინემ თვით ქართლელებს, ეთნოგრაფიულ
საქართველოს ნამდვილს შვილებს. ამისგამოვე მრა-
ვალი ფორმები აზრის გამოხატულებისა და სიტყვე-
ბი საუკეთესო ქართულის პროზისა და პოეზიისა,
რომელნიც შიდა-ქართლის სხვა და სხვა ადგილას
უცნობი არიან, სრულიად ჩვეულებრივად მიაჩნიათ
ცოცხალ საუბარში ამჟამად მაჰმადიანებად მყოფს
იმერხევლებს ბათომის მაზრაში. ამისგამოვე საღვთო
წერილის ტექსტში ჩვენ ვპოულობდ წმინდა ჭანურს,
ანუ მეგრულს და სხვა სიტყვებს. ამ რეალურის

კულტურულ-ისტორიულის შეხედულებით ქართული
სალიტერატურო ენა იმდენათვე სვანურია და მეგ-
რული, იმდენათვე გურულია და იმერული, რამდე-
ნათაც ქართული. **ი**ს არის ღვიძლი სამწერლო ენა
ყველა საქართველოს ტომებისათვის, სულ ერთია,
რა კილოზედ, რა დიალექტზედ, ან რა ენაზედაც
უნდა საუბრობდეს იგი წახლში, თავის კერასთან და
ეს ამნაირი მდგომარეობა მათი გუშინდლიდგან კი
არ იწყება, მას აქეთ ათს საუკუნეზედ მეტს გაუვ-
ლია. **ი**მ დროითგანვე, როდესაც სამწერლო ენა
ეკლესიას ემსახურებოდა, ერთის მერვე-მეცხრე საუ-
კუნეში მოღვაწის მოწმობით, ცნობილი ყოფილა
ის აზრი, რომ სადაც საეკლესიო წ·ირვა-ლოცვა
ქართულად იყო, ყოველგან ის ადგილები საქარ-
თველოდ ყოფილა მიჩნეული, ე. ი. იმ დროსთვის
სიტყვას „**ს**აქართველოს“, ნაციონალურ-კულტურუ-
ლი ტერმინის მნიშვნელობა ჰქონია მიღებული.
ცოტახანს იქით ამ ტერმინინს მნიშვნელობა კიდევ
უფრო ფართოვდება საპოლიტიკო მომენტის გამო.
და რასაკვირველია სიტყვა „საქართველო“ იმ შო-
რეულ დროდგან აღარ გამოხატავდა მარტო ეთნო-
გრაფიულს ერთეულს. **ა**მისგამო ქართველები თავის
ქვეყანას „**ქ**ართლს“ კი არ უწოდებენ, რომელიც
ნადვილად ეთნოგრაფიულს ტერმინს ნიშნავს, არა-
მედ „**ს**აქართველოს“ და ეს არის ნაციონალურ-
კულტურული ტერმინი, რომელიც რუსულად არც
კი გადაითარგმნება, მაგრამ აზრით გამოხატავს ნა-
ციონალურ-კულტურულ ქართველთა ქვეყანას. **ი**მის-

თანა კაცისაგან, როგორიც არის მამა **ვ**ოსტორგო-
ვი, საქართველოს ელემენტარული გეოგრაფიის
თითქმის უცოდინარი, რასაკვირველია არ შეიძლე-
ბა მოვითხოვოთ, რომ მან სისწორით დააფასოს
სრულიად მისთვის უცნობი ნაციონალური კულტუ-
რა ქართველთა ერისა; მაგრამ ვიცით, რომ ქარ-
თველთა ტომების ნაციონალური ერთობა, ამა კულ-
ტურისაგან შექმნილი, ძლიერ ბრწყინვალედ გამოი-
ხატება ნაციონალურს ქართულს ეკლესიაში და
მისგან წარმოშობილს და ყველასთვის საღვთოდ
მიჩნეულს ქართულს ენაში. **ყ**ოველივე, რაც კი **ს**ა-
ქართველოს ეკლესიას ეკუთვნის, თითქმის უსულო
ჭურჭელნი და სამოსელნი, უენო კედელნი ათას
წლოვან ტაძართა, შეწყობილად გულთათანა ყო-
ველთა ჯერ კიდევ შეურყეველთა ძეთა მრავალ-
ტომოვანის საქართველოისა, ერთხმად ღაღადებენ
პავლე მოციქულის სიტყვებით (კორინთ. I, 12,
12 – 13): **„ვითარცა იგი გვამი ერთ არს და მრავალი
ასოები აქვს და ყოველი იგი ასოები ერთისა მის გვა-
მისა მრავალღა თუ არს, ერთ გვამვე არს, ეგრეცა ქრის-
ტე“** **ე**გრეცა ქრისტიანებრივი ეკლესია, ეგრეცა,
დასძინებენ ეს უზადო და უთვალღებო მოწამენი,
ჩვენი „საქართველოს ეკლესიაც“ , რამეთუ ჩვენ ყო-
ველთა ერთითა სულითა და ერთითა ენითა, ჩვენ
ყოველთათვის თანასწორად საღვთო ენითა, ერთისა
მიმართ გვამისა ნათელს ვიღეთ, გინა თუ მეგრელ-
თა, გინა თუ გურულთა, გინა თუ იმერთა, გინა-
თუ სვანთა, გინათუ ქართლელთა, ესე იგი მრთელმა

საქართველომ, მან ყოველმა, რაც არა ითარგმნების
რუსულად და არს ჩვენ ყოველთათვის გულის აღ-
მტაცი და მომხიბლველი ცნება, სიტყვა – საქმე,
შექმნილი შრომითა გამოურიცხველად ყოველთა
ზემოხსენებულ ტომთა და სხვათაც მრავალთა, რო-
მელნიც ფიზიკურის ძალით ჩვენგან მოცილებულნი
არიან, მაგრამ გულთაგან ჩვენთა ჯერ კიდევ ვერ
განუშორებიათ. **დ**ა როგორ მოხდა, რომ ეს რეა-
ლური მოვლენა ვერ შეამჩნია **ვ**ოსტორგოვის ათის
წლის ფხიზელმა ყურადღებამ. **ჭ**ეშმარიტს ამბობს
მეფსალმუნე (ფსალმუნი ორმოცდა მეჩვიდმეტე, მუხ-
ლი მეოთხე) **„გულის წყრომა მათი მსგავს არს გვე-
ლისა და ვითარცა ასპიტისა ყრუსა, რომელსა დაეყვნიან
ყურნი მისნი.“**

მაგრამ ყურის მოყრუებასა და თვალის დახუჭ-
ვას ვერ მოახერხებს კაცი, რომელსაც **ს**აქართვე-
ლოში ათი წელი დაუყვია, ვერ მოახერხებს დაუსჯე-
ლად სიმართლის დაფარვას. სიმართლე სიცუდესა
და სიმრუდეშიაც გზას გაიკაფავს და გამოჩნდება და
სიცრუე სიცრუითვე დაიღუპება. **ქ**ართველები შეი-
ძლება შემცდარიყვნენ რუსების შესახებ, მაგრამ
ქართველები, რასაკვირველია, არ შემცდარან, როცა
მათ უზენაესის სიმართლის შეუმუსრავი ძალა სწამ-
დათ და ამ რწმენით თავის თავს შველიდენ ფრიად
გაჭირვებულს და სამძიმო მომენტებში, რომელნიც
ხშირად მათის ისტორიულის არსებობის დროს ყო-
ფილან. **ვ**ოსტორგოვი სწერს (გვ. 309 – 310): „ფიქ-
რობენ, ვითომც მრთელი **ს**აქართველო საზოგადოთ

თავის ნებით შეუერთდაო **რ**უსეთს ასის წლის წინათ... საქართველო, რომელიც **რ**უსეთს შეუერთდა 1801 წ., უკანასკნელის მეფის **გ**იორგი მეცამეტის გარდაცვალების შემდეგ, შეადგენდა მხოლოდ ეხლანდელის **თ**ფილისის გუბერნიის ნაწილს: ეგ იყო ტერრიტორია სივრცით სულ 600 კვადრ. მილი, დაახლოვებით ჩვენი **მ**ოსკოვის გუბერნიის ოდენი, სადაც **რ**უსეთთან შეერთების დროს ესახლა. მხოლოდ ას სამოცი ათასი კაცი, რომელთა შორის ქართველები მხოლოდ რვაათასი იყვნენ. **ა**ი სულ ეს იყო, რაც **რ**უსეთს თავის ნებით საქართველოს სახელით შეუერთდა და სხვა ყოველივე **ა**მიერ-**კ**ავკასიაში **რ**უსეთმა იარაღით დაიპყრო.“ **ქ**ართველებსაც წაუკითხავთ ეს ცნობები **კ**ავკასიის არქეოგრაფიულის კომმისიის აქტებში. **მ**აგრამ ქართველებმა კიდევ უფრო მეტიც იციან, სახელდობრ ისიც, რომ საქართველოს, „**თ**ფილისის გუბერნიის ნაწილის“ შემოერთება უწინააღმდეგოდ არ მომხდარა, და ახლა, როდესაც **რ**უსეთთან შეერთების დროიდგან ას წელიწადზე მეტი გასულა, ისინი ყურადღებით ეცნობებიან უძლურის უმცირესობის მხრით წინააღმდეგობის მოტივებს და სამწუხაროდ მათდა ტყობილობენ, რომ მაშინდელი პროტესტი და წინააღმდეგობა მეტის თანაგრძნობის ღირსი ყოფილა ხალხის მხრით. **მ**აგრამ ქართველები არა თუ ფიქრობენ, დარწმუნებულიც არიან, და ამის საბუთიცა აქვსთ, რომ მრთელი **ს**აქართველო თავის ნებით შეუერთდა **რ**უსეთს ას ოთხის წლის წინათ, რადგანაც ერთია-

ნის ნაციონალურ-კულტურულის საქართველოისთვის ერთის ქართველთა სამეფოთაგანის რუსეთთან შეერთება ნიშნავდა არსებითად მრთელის საქართველოს გარდაცემას. ამას მოითხოვდა მაშინ მრთელი ნამდვილად ფხიზელი სახალხო გულისზრახვა, მტკიცედ დარწმუნებული, რომ რუსეთი ერთგულად აასრულებდა, რასაც იგი ქართველებს მაშინ და მერმეც შეერთების დასაწყისიდგანვე გულუხვად ჰპირდებოდა და ყოველს შემთხვევაში ქართველები მაშინ სრულიადაც ვერ წარმოიდგენდენ, რომ მათი ბედი და მათი ნაციონალური განათლება ასის წლის შემდეგ ხელში ჩაუვარდებოდა იმისთანა რუსებს, როგორიც არის დეკანოზი ვოსტორგოვი და მისნი თანამოაზრენი. და თვით ვოსტორგოვმაც ძალიან კარგად იცის, რომ ეს ნამდვილად ასეა და თვით იგი სწერს თავის მამხილებლად შემდეგს (გვ. 329): „გრძნობა რუსეთთან სარწმუნოებრივის ერთობისა იტაცებდა მისკენ საქართველოს მეთუთხმეტე საუკუნიდგან. მართლმადიდებლობითმა გრძნობამ ქართველებს შთააგონა ეს აზრი და იგინი სხვას აღარას დასდევდენ, არავითარს დაბრკოლებას არაფრად სთვლიდენ და ისე მიესწრაფებოდენ საუკუნიდგან-საუკუნემდე რუსეთის სახელმწიფოსაკენ და ეს მისწრაფება იმდენად ძლიერი იყო, რომ იძულებულნი იყვენ თავის დროს გაჰყოლოდენ მათ, იქნება ხშირად უნებურადაც, მეფეცა და მეფისწულები და უმაღლესნი წოდებანიც საქართველოს ერისა.“ ამ სიტყვებს შემდეგ ვოსტორგოვი სრულიად ურცხვად

სცდილობს ჩაუნერგოს რუსებს ის აზრი, რომ რუ-
სები იძულებული იყვენ საქართველო იარაღის სა-
შუალებით დაეპყრათო.

მაგრამ თვით საქართველოს ეკლესიისა და თვით
საქართველოს ლიტერატურისა ვოსტორგოვს სრუ-
ლიად არავითარი გაგება არა აქვს: „ქართველებმაო,
ამბობს ვოსტორგოვი (გვ· 308 და 309), ხუთის
საუკუნით უფრო ადრე მიიღესო ქრისტიანობა, ვი-
ნემ რუსებმა, მათ შესძლეს და შექმნეს თავისი საკუ-
თარი სალიტერატურო და საღვდელმოქმედო ენა.
მართალია ყოველივე ესე ჰქონდათ მათ და აქვსთ
ერთობ მცირედის ზომით, მაგრამ ესეც საკმაოა მა-
თის ეროვნულის თვითცნობიერების საზრდოთ.“

აქედან სჩანს, ვოსტორგოვს სრულიად არ
სცოდნია, რომ ქართული ლიტერატურა არის ერთი
უმდიდრეს საუნჯეთაგანი აღმოსავლეთის ქრისტია-
ნებრივის ეკლესიისა. ვოსტორგოვს, რომელმანაც,
როგორც ცხადათ სჩანს, არათუ თვითონაც არაფე-
რი არ იცის, არამედ რომელსაც ჰყოლია მასწავ-
ლებლები იმდენათვე და შეიძლება თვითონ მაზედაც
უფრო ნაკლებ მცოდნე ქართულის სასულიერო
ლიტერატურისა, – „ზომაც“ სცოდნია, ერთობ მცი-
რეოდენი „ზომა“ საქართველოს საეკლესიო საქ-
მეებისა. ვოსტორგოვს რომ ასე დაეწერა; „ჩვენის
საპედაგოგიო მოღვაწეობის წყალობით ცოდნა თა-
ვის საკუთარის საქმეებისა ქართველებს ერთობ მცი-
რედი აქვსთ, ან სულაც არა აქვსო“, მაშინ ვერა-
ვინ ვერ გაბედავდა და ვერ შეეცილებოდა ამისთანა

ჭეშმარიტებას. **მ**აგრამ **ვ**ოსტორგოვი მსჯელობს მისთვის სრულიად უცნობ საგანზედ, რომელიც მხოლოდ სპეციალურად შემსწავლელთა გარდაუშლის, მდიდარის მასალების წყალობით, ახალს და **ე**ვროპის ისტორიულის მეცნიერებისათვის დღევანდლამდის უცნობს რეალურს გორიზონტებს. **დ**იაღ, ჩვენ სპეციალისტებსაც ჯერ კიდევ სავსებით არ შეგვისწავლია მრთელი ქართველთა ერას კულტურული ნაღვაწი და ჩვენ **„მცირედ რაიმე ვიცით და მცირედ რასმე ვწინასწარმეტყველებთ“** (კორინთ. I, 13, 10).

სრული 1041 წლის წინათ ე. ი. 864 წელში **ქ**რისტეს აქეთ დაწერილია ქართული ხელნაწერი, რომელიც ახლა **ს**ინას მთაზედ წმ. **ე**კატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკაში არის დაცული. **წ**იგნის ბოლოს გადამწერს მიუმატებია ქება ქართულის ენისა. **ქ**ება ლეგენდალურია, მაგრამ ამის გარეგან ფორმას თავი დავანებოთ და მივაქციოთ ყურადღება მისს შინაარს და შინაარსი კი სავსებით ცხადათ გამომხატველია იმისი, რომ ქართველებს დიდის ხნიდგან დაუმყარებიათ ნაციონალური თვითცნობიერება ქრისტიანობრივს საფუძველზედ.

ამ თვითცნობიერებას, იმ დროებში ჩვეულებრივის ლეგენდარულის ფორმით გამოხატულს, ჰქონია რეალური სარჩული. **ხ**ელნაწერი წარმოადგენს ძველ თხზულებათა კრებულს, რომელნიც დაწერილი არიან ზედმიწევნით შემუშავებულის (რასაკვრველია საუკუნეთა განმავლობაში) ქართულის სალიტერატურო ენით, რომელიც სავსებით გადმო-

გვცემს ყოველსავე უწვლილესს და უღრმესს მნიშ-
ნველობას საეკლესიო თხუზულებათა, უპირველესად
დაწერილთა მდიდარს ბერძნულს ენაზედ. ეს წიგნი
კონდაკი არ არის, არც საღვთო წერილი, არამედ
ეკლესიის წმინდა მამათა თხზულებანი, რომელთაგან
მრავალნი ევროპის სამწერლო საუნჯიდგან გამქრა-
ლან და ქართულს ლიტერატურას კი შეუნახავს და
სხვათა შორის ამ სინას-მთიელს ქართულს ხელნა-
წერს. ეს ხელნაწერი შემთხვევით არ დაუცავთ სინას
მთაზედ. ეს წიგნი გადაუწერია სინას მთის ძმათა-
თვის ქართველს მაკარის, ბერს წმ. საბას მონასტ-
რისას იერუსალიმის მახლობლად. მაკარიც შემთხვე-
ვით არ მისულა იერუსალიმის არე-მარეში ქარ-
თველთა ტომებს მეხუთე და მეექვსე საუკუნიდგან
ჰქონდათ აქ მონასტრები და თანდათან ქართუ-
ლი მონასტრები ათობით მოეფინენ როგორც წმ.
იერუსალიმს და მისს არე-მარეს, ისე სინას მთას
საბერძნეთში. მაგრამ ყოველგან ამ მონასტრებმა
მოიპოვეს დაუმოკიდებელი ავტონომიური გამგეობა
საეკლესიო საქმეებისა. საიდან უნდა იყოს ყოველი-
ვე ესე? ეს უნდა მომხდარიყოს უთუოდ იმისგამო,
რომ თვით საქართველოში ეკლესიურ-ნაციონალუ-
რი ცხოვრება დიდათ განვითარებული იყო. საქარ-
თველოს ეკლესია არის არა მხოლოდ მართლმადი-
დებელი, არამედ ადგილობრივი, ნაციონალური.
მას აქვს თავისი წინაპართაგან ნაანდერძევი ენა,
საუკუნეებით ნაკურთხი და განწმენდილი, თავისი

საკუთარი თქმულებანი, წინაპართაგანვე გარდმოცე-
მულნი, თავისი ადგილობრივი ეროვნული მოწამენი,
თავისი ნაციონალურ-ეკლესიური იდეის მიმდევარნი
მოღვაწენი. ამ იდეის რეალურმა განხორციელებამ
დიდი ხანია შეაერთა ნაციონალურად და კულტუ-
რულად ყველა საქართველოს ტომები ერთს სული-
თა და ხორცით მონათესავე სხეულად. ამ ცხოველს-
მყოფელმა, ქართველთა ტომების ფსიხოლოგიურ
მოთხოვნილებით შექმნილმა იდეამ განადიდა შემო-
ქმედებითი ძალა საქართველოს ეკლესიისა და მისცა
მას არა ჩვეულებრივი სიმტკიცე და ღრმად შთანერ-
გა იგი ყველა მონათესავე საქართველოს ტომთა
შორის, თითქმის სხვა ტომთა შორისაც, რომელნიც
იყვნენ ფსიხოლოგიურად ქართველთა მონათესავე
და ერთსული მათი. ასდუღდა საეკლესიო ცხოვრე-
ბა თვით საქართველოში, სავსე თასიდგან გადასდინ-
და იგი არათუ მხოლოდ საქართველოს კიდურებში,
სვანეთსა და სამეგრელოში, არამედ ჩრდილოეთი-
საკენ კავკასიის მთა-გორებში და დასავლეთისაკენ
ჭანეთში და ყოველგან ბერძნებს ფეხი ააკრეფინა
და განდევნა ისინი. კულტურული ბრძოლა გაჩაღე-
ბული იყო, რასაკვირველია, სომხებთანაც, მაგრამ
უკეთეს ეპოქებში, ნაციონალურად უმეტეს გამო-
ფხიზლების მომენტებში, დაიწყებოდა დაახლოვებუ-
ლი ურთიერთობა ერთის საზოგადო საქმის თანა-
მშრომლობისათვის და ამ მომენტებში მათ შორის
ცხადი შეთანხმება დაარსდებოდა.

თუ რამდენათ მაღლა იდგა მაშინ საქართვე-

ლოს საეკლესიო კულტურა, ჩვენ შეგვიძლია იქი-
დგან მივხვდეთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში, როცა
თვით საბერძნეთში ნეოპლატონიზმური ფილოსოფია
დაცემული იყო, ქართველმა მწერალმა იოანემ
(ტარიჭიძემ – პეტრიწმა) მოგვცა ჩვენ ყოვლად უნაკ-
ლულო. და სწორი თარგმანი პროკლეს „ღვთისმეტ-
ყველებრივის ფილოსოფიისა“ და შეადგინა თავის
დედა-ენაზედ შესანიშნავი განმარტება ამ თხზულე-
ბისა და ეს იყო მაშინ, როდესაც დასავლეთს ევრო-
პაში ჰქონდათ მარტო **Liber de causis** (წიგნი მი-
ზეზთა), ეს წამხდარი თარგმანი პროკლეს შემოკ-
ლებულის სახელმძღვანოისა. თუ რამდენად ღრმად
გამჯდარი იყო ქრისტიანობა საქართველოს ეროვ-
ნებაში. ამის მისახვედრად საკმაოა ვსთქვათ, რომ
მეთერთმეტე საუკუნეში ქართული საეკლესიო გა-
ლობა იყო თავისებური, ნაციონალური და ახალს
ბერძნულს საგალობლებს ადგენდენ ქართულ საგა-
ლობელ ნორმებთან შეთანხმებით, რომ საქართვე-
ლოს ეკლესია მაღლა იდგა და ყოველგან დიდი პა-
ტივში იყო იმითაც მტკიცდება, რომ იერუსალიმში
რუსეთის მართლმადიდებელს ეკლესიას, რომელსაც
მფარველობდა თავის სახელით იმისთანა ძლიერი
სახელმწიფო, როგორც რუსეთი, არ ჰქონია იმ
გავლენის ნაწილიც, რითაც სარგებლობდა მართლ-
მადიდებელი ეკლესია პაწაწა საქართველოს ერისა
და ყოველსავე ამ საკითხებზედ და სხვებზედაც ჩვენ
გვაქვს ცოცხალი, თანამედროვე, დოკუმენტალური
საბუთები და არა ლეგენდები და ამ საბუთთაგან

ზოგი რუსულადაც დაბეჭდილნი არიან. ლეგენდები ითხზებოდენ შემდეგში დასამახსოვნებლად ცოცხალისა და უფრო გასაგების ფორმით იმაზედ, რამაც როგორც რეალურმა თავგარდასავალმა, შთაუნერგა ყველა ქართველთა ტომების გონებას წარუხოცელი კვალი, განაკეთილშობილა, აღამაღლა და რთულქმნა ეროვნული ფსიხოლოგია და სხვადასხვა გვარის ქართველთა ეტნოგრაფიულის მატერიალისაგან შექმნა საქართველოს ეროვნება. საპოლიტიკო საქმეები საქართველოისა ხმირად მავნებელად იხლართებოდა, საქართველოს ცხოვრება ხანდახან რამდენისამე ათის წლობით და მეტითაც წარმოადგენდა სამწუხარო სურათს, რომელიც ნამდვილად გამოხატულია უცხოელ და შინაურ წყაროებში და რომელსაც ხან და ხან მრთელი ქართველობა შეეძლო ჩაეგდო სრულს სასოწარკვეთილებაში, მაგრამ საქართველო ამისთანა შემთხვევებშიაც არ ჰკარგავდა იმედს, მაშინაც არ ღალატობდა უკეთესის ბრწყინვალე მომავლის რწმენას, მაშინაც არ ივიწყებდა თავის პატივს, როგორც კაცობრიობის წევრისას, როგორც ისტორიულად შექმნილის ნაციონალურ-კულტურულის ერთეულისას. ცხადია, თავის ვალდებულებისაგან ხელის აღება საქართველოს არც ეხლა შეუძლია. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ ქართველები იმისთვის კი არ შეერთებიან რუსეთს, რომ გამხდარიყვნენ საგნად დიდებულის განსასვენებელის პროცესიისა, რომელსაც მართავენ უაზროდ ისეთი მოღვაწენი, როგორც დეკანოზი ვოსტორგოვი, რომელ-

თაც წინ უძღვიან კიდევ სხვა განმანათლებელნი, კელაპტოსანნი. შეგნებულს, თვით-ცნობიერს საქართველოს რასაკვირველია არ სურს თავისი სულიერად დასაფლავება. აზროვნებამ და თვითცნობიერებამ თავშეუკავებლად გზა გაიკაფა მრთელს ქართველთა ეროვნებაში, ძვალ-რბილში გაუჯდა ეხლა მის სხეულს, სოფლებისა და ქალაქების მშრომელს წრეებს, რომელნიც ჯერჯერობით მეცადინეობენ მხოლოდ თავის მატერიალურის მდგომარეობის პირობათა გაუმჯობესობისათვის. მაგრამ ესენიც ხომ გაჟლენთილი არიან, თუმცა უმეტესობა ინსტინკტურად, იმავე ქართველთა ნაციონალურის ფსიხოლოგიით, მეტსაც ვიტყვით, დამცველნი არიან ინსტინკტურად საეროვნო პატივისა. არა ერთხელ გამიგონია მე პირდაპირ მათგან, რომელთაც არც იცოდენ, თუ რუსთველის კეთილხმოვან ლექსებით მეუბნებოდენ, მეთორმეტე საუკუნის პოეტის ლექსებით, რომელიც საქართველოს ნაციონალობისათვის სასიქადულოა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანიო“. და თუ საქართველოს ეკლესია საბოლოოდ მკვდარია, თუ საქართველოს აზნაურობას ძალა არ შესწევს, აღიღოს ქედითა თვისით ტვირთი ისტორიულის მომენტისა, ეს მშრომელი ნაწილი საქართველოს ერისა ჯერ ხომ ძალა გამოულეველია და ხელსეუხებელი, ეს თვით მოქმედი მრავალტომოვანი გლეხობა საქართველოისა, რომელიც უთუოდ უფრო ენერგიულად თავს გამოიდებს, როგორც მებრძოლი არა მხოლოდ კლა-

სობრივად ეკონომიურის, არამედ, უეჭველია, კულ-
ტურულის ინტერესებისათვისაც მრთელის საქართვე-
ლოს ერისა. საჭირო იყო, რომ ეს რუსებს სცოდ-
ნოდათ.

კულმინაციური პუნკტი ვოსტორგოვის მეც-
ნიერებისა გამოიხატება ქართულის სალიტერატურო
ენის საკითხში. როგორც ვიცით, არის მხოლოდ
ერთი სალიტერატურო ენა, რომელსაც „ქართული
ენა“ ჰქვია, მაგრამ ეს ენა საზოგადოა ყველა ქარ-
თველ ტომთათვის. მეხუთე საუკუნიდგან დაწყებუ-
ლი ამ სალიტერატურო ენაში უთუოდ შესამჩნევი
ცვლილება მოხდა, მაგრამ მეცხრე საუკუნისათვის
ახალის მიმართულების თანახმად ეს ენა, როგორც
სჩანს, იყო განახლებული და ყველა ქართული მწერ-
ლობის ნაშთებს, რომელიც კი აქამდის აღმოჩენი-
ლა, თითქმის მეხუთისა და მეექვსე საუკუნისასაც,
მოუწევიათ ჩვენამდის მეცხრე და მეათე საუკუნეების
და არა ამაზედ უძველესის ხელთ-ნაწერებით და ამ
ხელთნაწერებში სალიტერატურო ენა განახლებულია
ახალ ნორმებთან შეთანხმებით. მეათე საუკუნიდგან
ქართულს მწერლობაში სამი უმთავრესი განმაახლე-
ბელი ცვლილება მოხდა: მეთორმეტე საუკუნეში
ცვლილება მოხდა საერო ლიტერატურის განვითა-
რებით, მეთექვსმეტე საუკუნეში – მეცნიერებისა და
ხელოვნების აღორძინების გამო და ბოლოს მეცხრა-
მეტე საუკუნეში – ევროპიულ კულტურასთან სრუ-
ლის გათანაზიარებით. ამ სამს მომენტში განახლება
შეეხება ერთსა და იმავე ენას, როშელშიაც ამ გა-

ნახლებას არავითარი ძირითადი ცვლილება არ შეუ-
ტანია. ფორმები ისევ წინანდელია (მხოლოდ რაც
უფრო ძველია, უფრო რთულია), სიტყვებიც ისევ
იმისთანანი არიან (მხოლოდ რაც უფრო ძველია,
უფრო ნაკლებად ურევია უცხო ენებიდგან ნასესხი
სიტყვები). უძველეს განვითარების ხარისხზედ ეს
საერთო ქართული ენა წარმოადგენს უმეტესს ენის
სიწმინდეს და თუ ქართველმა ეს ენა შეისწავ-
ლა, უთუოდ ამის გამო ზედმიწევნით მცოდნე იქ-
ნება საზოგადო ქართული სალიტერატურო ენისა,
რომლის ახალის ეპოქისაც უნდა იყოს ეს ენა, და
ამათ რიცხვში თანამედროვე ენისაც, რადგანაც
შემდეგი ცვლილება ყველას კარგად ესმის იმ ცო-
ცხალი ენის შემწეობით, რომელიც მან უკვე იცის.
არც იმისთანა განსხვავება, რომელიც ძველ ბერ-
ძნულს სალიტერატურო ენასა და ახალს ბერძნულს
სალიტერატურო ენას შორის არის, არც იმისთანა
არსებითი განსხვავება, რომელიც სომხურ სალიტე–
რატურო ენასა და ძველ სომხურს შუა არის და
გინდ იმისთანა მაინც განსხვავება, რომელიც ახალს
ასურულსა და ძველს ასურულს შუა არის, ქარ-
თულს მწერლობაში არ მოიპოება. ამ ერთად ერთს
სალიტერატურო ქართულს ენაზედ იწერებოდა, სა-
ჭიროების მიხედვით. საეკლესიოცა და საერო თხზუ-
ლებანი. ქართველებს არა აქვს ცალკე საეკლესიო
სალიტერატურო ენა, როგორც მაგალითად რუსებს
სლავიანური ენა. ქართველებს აქვსთ მხოლოდ ორი
საწერი ანბანი, ხუცური და მხედრული (ანუ საეკ-

ლესიო და სამოქალაქო), მაგრამ ენა კი ერთია რო-
გორც მაგალითად ასურელებს ძველად სამი სხვადა-
სხვა საწერი ანბანი ჰქონდათ: ესტრანგელო, ნეს-
ტორიანული და იაკობიტური, მაგრამ ასურული
სალიტერატურო ენა კი ერთი იყო. მეტსაც ვიტ-
ყვით, ხუცურად ნაწერი არიან სრულიად საერო
ხასიათის ლიტერატურული ნაშთები, მაგალითად
თეიმურაზის დროინდელი საქართველოს მატიანე და
მხედრულად ნაწერია გვარიანი დიდი ნაწილი საეკ-
ლესიო ლიტერატურულ თხზულებათა. ახლა ყო-
ველგვარი წიგნები მხედრულად იბეჭდება. მაშასა-
დამე ნამდვილად არსებობს ერთი ქართული სალი-
ტერატურო ენა და ორი ანბანი, ხუცური და მხედ-
რული, და ამასთანავე მარტო საეკლესიო წიგნების
საკითხავადაც არ კმარა მარტო ხუცურის ცოდნა,
უთუოდ მხედრულიც უნდა ვიცოდეთ. მაშინ რო-
დესაც ვოსტორგოვი დიდის რიხით ამბობს (გვ.
331), რომ „შკოლებში შემოღებულიაო საეკლესიო
ქართული ენის სწავლება სალიტერატუროს მაგიერ,
რომელიც ზნეობრივის გაწრთვნისათვის სუსტია და
სრულიადაც არ შეეფერებაო საეკლესიო მიზანს.“
ნურაფერს ვიტყვით იმაზედ, რომ თვითონ ენა,
როგორც ენა, უეჭველია არ იქნება არც ზნეობი-
თად გამწრთვნელი და არც ამ მხრით ღარიბი და
საეკლესიო მიზნის შეუფერებელი; სასაცილოდ არ
ეყოფა კაცს შემოღება საეკლესიო ქართული ენის
სწავლებისა ე. ი. ქართული სალიტერატურო ენის
სწავლებისა ქართულის სალიტერატურო. ენის მა-

გიერ. **ე**ს ერთობ საოცარი გაუგებრობაა, რომელიც ჭეშმარიტების წინააღმდეგია, მაგრამ **კ**ავკასიაში კი განკანონიერებულია.

მინდოდა შევხებოდი კიდევ იმ საგანს, თუ როგორ შეუგნია **ვ**ოსტორგოვს ქართველთა ეროვნების სულიერი ბუნება, – მაგრამ რა უნდა მოვთხოვოთ მას, ამისთანა საფაქიზო საგანზედ, როდესაც თვით სახელოვანს **რ**უსეთის პოეტს, საუკეთესო მგოსანს **კ**ავკასიის ბუნებისას, საქართველოს ეროვნული, თანამედროვე საუკეთესო წყაროებისაგან დამოწმებული რეალური პიროვნება „ღვთიურის“ , ზნეობითად ძლიერის **თ**ამარისა, ზნეობითის სინარნარით აღმტაცი და დამამშვიდებელი ტყის ნადირთა, გარდაუქცევია თავის ლექსებში, „**თ**ამარად“ სახელდებულში, ქართველთა ეროვნულის ბუნების წინააღმდეგ, ფანტასტიკურ ხატად ვნებათაგან შეპყრობილის ქალისა, რომელიც ელის გამვლელსა და გამომვლელს, ნებივრად მწოლარე თავის რბილს ბუმბულის ლოგინზედ. **ს**ინამდვილეს უთუოდ პირდაპირ უნდა ვუყურებდეთ. **ა**მის მსგავსი უფსკრული რომელიც ურთიერთშორის ფსიხოლოგიურმა გაუგებრობამ დაბადა, არ შეიძლება ამოივსოს და დაიფაროს საეკლესიო ჩვეულებრივის წესებისა, ანუ საქრისტიანო მოძღვრების ძირითად დოღმატთა ერთგვარობით. **თ**ვითონ ფორმულები თავის თავად, თითქმის არც იდეები თავისთავად დიდს რასმე არ შეადგენს, თუ ისინი თვით ცხოვრებაში არ გამოიხატებიან, თუ რომ ისინი განხორციელებული არ

არიან ერის შინაგანს სულიერს არსებაში, ე. ი. ფასი აქვს მხოლოდ საქრისტიანო მოძღვრების გაეროვნებას და ამის მიხედვით საქართველოს ეკლესია შესამჩნევად განსხვავდება რუსეთის, ანუ საბერძნეთის ეკლესიისაგან, თუმცა ესენი მასავით მართლმადიდებელნი არიან, და უახლოვდება უფრო სომეხთა ეკლესიას, რომელიც მაზედ განცალკევებულს სარწმუნოებას აღიარებს. ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში ცნობილმა ბიზანტიის სახელმწიფო მოღვაწემ გრიგოლ ბაკურიანმა, დამფუძნებელმა ქართულის პეტრიწონელთა (ეხლა ბაჩკოვოს) მონასტრისა ბოლგარეთში, განაცხადა, რომ საქართველოს მართლმადიდებლობა არაფრით არ განირჩევაო საბერძნეთის მართლმადიდებლობისაგან, მაგრამ მაინც წევრი ვარო. არა საბერძნეთის, არამედ საქართველოს ეკლესიისა, რომელიც თავის მართლმადიდებლობის განხორციელებით უთუოდ უფრო ეთანხმებოდა ბაკურიანის ფსიხოლოგიურს მოთხოვნილებას. ვოსტორგოვს ძალიან უკვირს (გვ. 312), რატომ ქართველებს სახლებში ხატები არ უსვენიათო, როგორათაც არ უსვენიათ, ვამატებ ჩემის მხრით, სომხებსაც; მაგრამ ჭეშმარიტად მორწმუნე ქართველთა იდეალია, იქონიონ გულის სუღრმეში სულიერი ხატი, და თვითონ ნივთიერი ხატები კი დაასვენონ ეკლესიებში, ანუ ვისაც შეძლება აქვს, შინაურს საჯვარეში, და არა საცხოვრებელს სახლებში, სადაც იგინი ატარებენ ჩვეულებრივ ყოველდღიურს მატერიალურ ცხოვრებას, ხშირად იმისთანა აზრე-

ბითა და საქციელით გართულნი, რაც საეკლესიო სიწმინდეთა შეურაცხმყოფელია. **დ**ეკანოზს **ვ**ოსტორგოვს უთუოდ არ სცოდნია, რომ მოხუცებულ კაცებს **ს**აქართველოში ამავე მიზეზით აქამდისაც ჩვეულება აქვსთ დილისა და საღამოს ლოცვა შეასრულონ გარეთ, პირდაპირ ცას ქვეშ, და არა სახლში. **ვ**ოსტორგოვმა იცის რასაკვირველია, რომ **ს**აქართველოშიაც არის ზოგიერთი ცრუმორწმუნოება და ამით სარგებლობს იგი (ვგონებ რუსია შთამომავლობით), რომ სამარცხვინოდ გამოგვიხატოს **ს**აქართველოს ეკლესია (გვ. 312), მაგრამ ამით მტკიცდება მხოლოდ სრული ჭეშმარიტება სახარების სიტყვებისა: **„ორგულო, ამოიღე პირველად დგვირე თვალისაგან შენისა და მაშინ იხილო აღმოღებად წველი თვალისაგან მოძმისა შენისა“. მ**აგრამ **ვ**ოსტორგოვი ურევს ერთმანერთში ცრუმორწმუნეობასა, რომელიც ხალხში უმეცრებას შეუტანია და სათემო დღესასწაულებასა და ხატთა მოსალოცავად სიარულს და ეს მისი შეცთომა ადვილად გასაგებია, რადგან არავითარი ცნობა არა აქვს ამ საგანზედ, რომ კარგად გაეგო ღრმა მნიშვნელობა იმ ადგილობრივ ჩვეულებათა, რომელნიც მომდინარეობენ ძველიდგანვე, სანამ **ს**აქართველოში ქრისტიანობა შემოვიდოდა, და გავრცელებულნი არიან საერთოდ ყველა **ს**აქართველოს მონათესავე ტომთა შორის, როგორც მაჩვენებელი უმაღლესის ჯერ კიდევ კერპთ-თაყვანის-მცემლობის ნიადაგზედ აღმოცენებულის კულტურისა. **ა**მგვარი საზოგადო კერპთ-თაყვანის-მცემლობის

დროინდელი კულტურის ნაშთები უფრო ბევრია საქართველოში, ვინემ ვოსტორგოვი ჰფიქრობს, თუმცა მისი განზრახვა არის, ამ ცოტათიც სახელი გაუტეხოს საქართველოს ქრისტიანებრივს ეკლესიას. ქრისტიანობის დროს ამ ჩვეულებათა დაეკარგათ კერპთ-თაყვანის-მცემლობის დროინდელი შინაარსი, მაგრამ მნიშნველობა კი ძველებური შერჩათ, ცოცხალი ნაციონალურ-კულტურული, რომელიც ქრისტიანობასთან შეერთებით, თავდაპირველად, რასაკვირველია, ეკლესიურ და მწიგნობრულ ქრისტიანობასთან, – ობიეკტივურად გამოხატავდა საქართველოს ტომთა სულიერს ერთობას.

ვგონებ საკმაოდ ცხადია, რომ სამეცნიერო დასაბუთებით ვოსტორგოვის ნაწერი მცირეოდენ კრიტიკასაც ვერ გაუძლებს და ამ მხრით ამ სტატიაზედ საუბარი, ვიმეორებ, სრულიად საჭირო არ იყო. მაგრამ დეკანოზი ვოსტორგოვი – „საეკლესიო სასწავლებელთა ოლქის ზედამხედველია საქართველოს საექსარხოსოში“, როგორც წინავე გვაუწყებს „ნაროდნოე ობრაზოვანიის“ რედაქცია, მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ უწმინდეს სინოდს არა ჰყავს სხვა კაცი საქართველოს საეკლესიო საქმეების უფრო მცოდნე, ამისთანა საპასუხისგებო თანამდებობის აღმასრულებლად დასაყენებელი. მეტსაც ვიტყვი, სტატია დაბეჭდილია მართლმადიდებელთა ეკლესიის ყოველთვიურს საპედაგოგიო ორგანოში, რომლისაც გამომცემელია სასწავლებელთა რჩევა, უწმინდეს სინოდთან დაარსებული. კიდევ

უფრო მეტი ვსთქვათ, სტატია წარმოადგენს მოხ-
სენებას, წრდგენილს წასაკითხავად I4 დეკემბერს
1904 წ. საეკლესიო შკოლათა სამოსწავლო მუზე-
უმში **პ**ეტერბურგს, მუზეუმის წლიურს დღესასწა-
ულზედ, უწმინდესის სინოდის წევრთა, სასულიერო
სასწავლებლების რჩევის წევრთა და მიწვეულ საპატიო
პირთა თანადასწრებით. **ვ**ოსტორგოვის შრომამ რა-
საკვირველია დიდი ინტერესი უნდა გამოიწვიოს,
რაც უნდა ნაკლები მცოდნე იყოს სამეცნიერო ნა-
წილში მისი ავტორი. **ჟ**ურნალის „**ნ**ოროდნოე ობ-
რაზოვანიის“ რედაქციაც წესიერად აფასებს უმაღ-
ლეს მნიშნველობას დღესასწაულებრივის შეკრებუ-
ლებისას ამ მოხსენების წაკითხვის დროს და დაწვ-
ლილებით გვაცნობებს ამას. **რ**ასაკვირველია უწმინ-
დეს სინოდს ასის წლის განმავალობაში, ასე უნდა
ვიფიქროთ, საკაო დრო ჰქონდა, არა თუ მხოლოდ
თვითონ არ უნდა დასჭირვებოდა ამ ნაირი სუსტი
მოძღვრება **ვ**ოსტორგოვისა, არამედ მას უნდა მიეცა
რუსეთისათვის, და არა მარტო **რ**უსეთისათვის, ნამ-
დვილად მცოდნე კაცები **ს**აქართველოს ერის წარ-
სულის ცხოვრებისა, რომელიც აგრე მჭიდროთ შე-
კავშირებულია მახლობელის აღმოსავლეთის ქრის-
ტიანობასთან. **ს**აქართველოს ეკლესიის შესახებ სრუ-
ლიად არ ჰქონია სინოდს ის უცნაური გასამართლე-
ბელი საბუთიც, რომ ეს ეკლესია მართლ-მადიდებე-
ლი არ ყოფილიყოს, თითქოს მართლ-მადიდებლო-
ბის უპირატესობა იმაში მდგომარეობდეს, ვითომც
მას უფლება აქვს საფუძვლიანად არ შეისწავლოს

რაც მის გარეშეა, ე. ი. მარტივად ვსთქვათ, არა-
ფერი არ იცოდეს ნამდვილად, მაშასადამე არ იცო-
დეს თავიცა თვისი. **დ**ა მე კი მგონია, ცოტაოდენი
საზოგადოებრივი ინტერესი მაინც უნდა ჰქონდეს
თვით **რ**უსეთის მართლმადიდებელის ეკლესიისათვი-
საც. იცოდეს მან არა თუ მხოლოდ ის, რომ სი-
ნოდის წევრები შეჩვენებით ეკლესიისაგან ვისმე გა-
ნაყენებენ, არამედ ისიც, თუ ვის მიიწვევენ კათედ-
რაზედ თავის მოძღვრად, ვის მიაყრდნობენ მრთელს
თავისს უმაღლესს ყურადღებას და ვის აჯილდოე-
ბენ, თუ გინდ მხოლოდ მდუმარე თანაგრძნობითა
და მოწონებით. **დ**ეკანოზი **ვ**ოსტორგოვი ხომ მართ-
ლა მოძღვარია! ის მძვინვარე და თავგამოდებული
თანამბრძოლია იმ მოძღვრებისა, რომელიც სცთი-
ლობს საეკლესიო შკოლები სახელმწიფო განზრახვებს
დაუმოლჩილოს იმ ხარისხამდე, რომ სრულიად და-
სთრგუნოს მცნებანი სახარებისა ე. ი. ძირი გაუთ-
ხაროს ქრისტიანობას.

მნიშნველობა სახარების მცნებათა სასულიერო
შკოლებისათვის **ვ**ოსტორგოვს, როგორც სჩანს,
სცოდნია: „სასულიერო შკოლები უნდა ემსახუ-
რებოდენო ეკლესიასა **ღ**ვთისას მის წმინდა საქმეში“,
სწერს **ვ**ოსტორგოვი (გვ. 329): „ეკლესია ერიდე-
ბაო მიზანსა „გარუსებისას“, როგორც საზოგადოთ
ერიდებაო ყოველს საპოლიტიკო განზრახვას. **ე**კლე-
სიური საქმე სახელმწაფოსათვის უსაზღვროდ ძვირ-
ფასიაო ყოველსავე გარუსებისათვის განზრახულება-
სა და მოქმედებაზედ და სხვ.“ **მ**აგრამ ამასთანავე,

ვოსტორგოვს სწამს რომ რუსულის ენის სწავლება
და შემოღება ყველა საგნების სწავლებისა რუსუ-
ლის ენის საშუალებით, არისო **უმთავრესი და არ-
სებითი მიზანი სასულიერო შკოლისა** (გახაზულია
თვით ვოსტორგოვისაგან გვ. 332). მართალია,
ვოსტორგოვი ამ „უმთავრესს და არსებითს მიზანს
სასულიერო შკოლებისას“ სთვლის მეორე ხარის-
ხოვან მიზნად. მაგრამ ეს მეორე მიზანი ცხადათ
ამახინჯებს ნამდვილს მაცხოვრის მოძღვრებას (მათ.
22. 21): **„მიეცით კეისრისა კეისსარსა და ღვთისა ღმერ-
თსა“**. **და** სადღაა „სამსახური ეკლესიის წინაშე მის
წმინდა საქმეში“, როდესაც სიტყვა ღვთისა უნდათ
ასწავლონ და ასწავლიან კიდეც ყმაწვილებისათვის
უცნობის ენით, რომელიც გამოთქმისა და კიდევ
უფრო ფსიხოლოგიურის ხასიათით უცხოა საზოგა-
დოთ კავკასიელ ერთათვის და განსაკუთრებით ქარ-
თველ ყმაწვილთათვის. *) მაგრამ ვოსტორგოვი უფ-
რო შორსაც მიდის მისთვის უცხო ტომთა კაცობ-
რიულ უფლებათა დათრგუნვაში – იგი მომხრეა მუნ-
ჯურის მეთოდით უცხო ენის სწავლებისა სხვათა
შორის იმის გამო, რომ ამ საშუალებით ადვილად
შეიძლება მოუშთოს ბუნებითი მსვლელობა თანდა-
ყოლილის სულიერის ნიჭის განვითარებისა ყვე-
ლა მოსწავლეს, რომელიც შთამომავლობით რუსი
არ არის (გვ. 335). მაშასადამე „წმინდა საღვთო

---

*) ქართული ენა არ ითვლება ინდო-ევროპიულის ენე-
ბის ჯგუფში, რომელსაც რუსული ეკუთვნის.

საქმე“, რომელსაც ვოსტორგოვი აღიარებს, აძლევს მას არა თუ მხოლოდ იმის ნებას, რომ ამოჰგლიჯოს დედა ენა მოზარდ თაობას, არამედ მოაშთოს მისი ბუნებითი ნიჭიერებაც. ნუ თუ შეუძლია ამნაირი ვოსტორგოვისებური მსჯელობა იმ კაცს, რომელსაც სულსა და გულში გასჯდომია სახარების მოძღვრება? მეცადინეობა ვოსტორგოვისა ხომ იმას ნიშნავს, რომ ის განდგომია ქრისტიანებრივს მოძღვრებას საღვთო ეკლესიაზედ. ეს მისი საქციელი ეწინააღმდეგება პავლე მოციქულის სიტყვებს (კორინთ. 14, 14): **„უკეთუ ვილოცვიდე უცნობითა ენითა, სული ჩემი ილიცავს, ხოლო გონება ჩემი უნაყოფო არს.“** ანუ კიდევ (გვ. 14, 39): **„ძმნო ჩემნო, გშურდინ წინასწარმეტყველებად, და სიტყვად ენათა ნუ დაეყენებით“**. ამას უნდა დავსძინოთ კიდევ, რომ ყველა უძველესი აღმოსავლეთის ეკლესიები (სურეთის, სომხეთი. და საქართველოს) გულსმოდგინებით იცავდენ ხელშეუხებლობას ამა ქრისტიანობის საფუძველთა, მოციქულთა მცნებასა. ამის მფარველი და დამცველი იყვნენ ქართველები მრავალსაუკუნოებით კულტურულად მებრძოლნი თითქმის ბერძნებთანაც. და ამ ბრძოლიდგან ქართველები გამარჯვებულნი გამოვიდნენ, თუმცა ქართველებს, რომელთაც მაშინ პოლიტიკური თვითარსებობა ჰქონდათ, ძალიან უჭირდათ იმ დროებში ნაციონალურის ეკლესიის განუდრეკელად დაცვა. საბერძნეთის სასულიერო წოდება დამტკიცებით ამბობდ, საქართველოს ეკლესია საბერძნეთმა დაბადაო., საბერ-

ძნეთი სათავეა, საიდანაც მართლმადიდებლობა მომ-
დინარეობსო, ბერძნული ენა და ბერძნული ლიტე-
რატურა მრთელს საქრისტიანოს სულიერს საზრდოს
აძლევსო“. **მ**აგრამ ქართველებმა ამათაც კი უპასუ-
ხეს **პ**ავლე მოციქულის სიტყვებით (კორინთ. I, 14,
36) **„ანუ თქვენ მიერ სიტყვა იგი ღმრთისა გამოვიდა,
ანუ თქვენდამდე ხოლო მიიწია?“ გ**ანა ეხლა უფრო დიდი
ზნეობითი უფლება არა აქვსთ ქ·რთველებს, ამავე
კითხვებით მიმართონ **რ**უსეთის ეკლესიას?

მაგრამ **ვ**ოსტორგოვი მაინც მოძღვარია; **ვ**ოს-
ტორგოვს, როგორც სჩანს, შესძლებია დამოძღვ-
როს ზოგი ვინმე და აცნობოს მას რაიმე **ს**აქართვე-
ლოს ეკლესიის უწინდელს ძალასა და დიდებაზედ;
მაგრამ რადგანაც მას ახსოვს აგრეთვე მოციქულის
სიტყვებიც (კორინთ. 1, 16, 14): **„ყოველივე თქვენი
სიყვარულით იყავნ“**, იგი, როგორც თავის ერთგული,
ამისთანა ხასიათის ცნობებს იძლევება მხოლოდ იმ
შემთხვევებში, როდესაც ქართველების ინტერესები
მათის მეზობლების ინტერესებს, შეეხლება, ე. ი.
თუ შესაძლებელია აღძრვა ტომებრივის, ანუ ნაციო-
ნალურის განხეთქილებისა: ამგვარად ქართველებს,
როგორც აღმოჩენილა, ჰქონიათ ოდესმე „დიდებუ-
ლი ტაძრები“ **ს**იღნაღსა და **თ**ელავში, „პატივცე-
მული საყდარი“ თვით თფილისში, სულ „მშვენიე-
რი ტაძრები“, მაგრამ ვაი, რომ ესენი ახლა სომხე-
ბის ხელშია, რომელთაც შეუსყიდიათ (გვ. 311);
ქართველების გავლენა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ
ოსებს მრთელ სოფლობით დაუვიწყებიათ ოსური

და ქართულად ლაპარაკობენ და ვაი, რომ ეს სოფ-
ლები ითვლებიან წმინდა ქართულ მრევლებად (გვ.
324). **Ს**პარსელები სცთილობდენ დაესუსტებიათ
როგორმე მართლმადიდებელი **Ს**აქართველოს სამეფო
და ამისთვის მართლმადიდებელს უდელებს წაართვეს
მღვდლები და მათი საყდრები და წმინდა ადგილები
გადასცეს სომხებს (გვ. 326).

დეკანოზი **ვ**ოსტორგოვი, როგორც სჩანს ქარ-
თულს სალიტერატურო ენასაც დიდათ აფასებს,
მაგრამ იმ საზღვრებს გარეშე, სადაც ქრისტიან ქარ-
თველთა მოსახლობა თავდება, და ქრისტიან საქარ-
თველოში კი, როგორც ზემორე ვსთქვით, ქართუ-
ლი სალიტერატურო ენა განდევნილია სასულიერო
შკოლებიდგან, როგორც „განწრთვნისათვის სუსტი
და საეკლესიო მიზნისათვის სრულიად შეუფერებე-
ლი“; მაგრამ გამაჰმადიანებულ ქართველებში იგივე
ენა, თითქმის, როგორც სჩანს, ქართული სასაუბრო
ენაც ცნობილია როგორც ზნეობრივად გაწრთვნი-
სათვის ძლიერ სასარგებლო და საეკლესიო მიზნისა-
თვის სრულიად შესაფერი (გვ· 318): „აქ საჭიროა
ფრთხილად ვიცავდეთ ქართულს ენას, ამ სულიერს
კავშირს მაჰმადიან ქართველებისას მათს მართლმადი-
დებელ წინაპარებთან; აქ საჭიროა ფურცლები,
ბროშიურები, წიგნები, ქართულს ენაზედ ნაბეჭდი,
და მათი ხალხში დარიგება იმ განზრახვით, რომ
აღვადგინოთ ხალხში მისუსტებული და გაქრობაზედ
მიწევნილი ქრისტიანობიდგან დაშთენილი მამა-პაპათა
გარდამოცემანი, განვაცოცხლოთ და ავალაპარაკოთ

დუმილით მოცული ტაძართა და უდაბნო-სავანეთა ნანგრევები“. მაშასადამე ქართულს ენას მიეწერება თითქმის საკვირველთ-მოქმედების ძალა, რომლის წყალობით გამაჰმადიანებულ ქართველებში შეიძლება გაიღვიძოს და აღდგეს ქრისტიანობიდგან ნაშთი მარდამოცემანი, გაცოცხლდენ და ღაღადისი მორთონ ნანგრევებმა და დამყარდეს სულიერი კავშირი მაჰმადიან ქართველთა მართლმადიდებელ წინაპართათანა, უკვე დიდის ხნის განსვენებულთა. (**ღ**მერთმა გვაშოროს იმ განზრახვისაგან, რომ ამგვარისავე კავშირის დამყარება ვისურვოთ ქრისტიან ქართველებთანაც, რომელნიც ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან) **ც**ხადია, რომ საუბარი ქართული სალიტერატურო ენის სისუსტეზედ ზნეობრივის გაწვრთნისათვის თვითონ **ს**აქართველოში, არის ტენდენციური ხერხიანობა, გამოგონებული იმისთვის, რომ გაამართლონ ქართული ენის განდევნა სასულიერო შკოლებისაგან. **ც**ხადია, ამავე აზრით გამოუგონიათ განსაკუთრებული საეკლესიო ქართული ენა. **ა**მავე აზრით ცთილობდენ არა სალიტერატურო ენებისაგან შეექმნათ ქართველ ტომთათვის სალიტერატურო ენა, რომ ამ ხერხით ქართულს საზოგადო სალიტერატურო ენას დაუკარგონ ნაციონალური მნიშნველობა არა მარტო ქართველების თვალში, არამედ თვითონ მეგრელების თვალშიაც, რომელთაც, ქართულის სზოგადო სალიტერატურო ენისაგან ჩამოშორებით, ხვდებოდათ უთუოდ ნაციონალური გარდაგვარება, **დ**ეკანოზ **ვ**ოსტორგოვსავით სახალხო

განათლებისათვის თავგამოდებულებმა დიდიხანია გასცეს თავისი საქმე, თვითონვე ფაქტიკურად გამოააშკარავეს საზოგადოების წინააღმდეგი თავისი საიდუმლო გულის-წადილი, რომ საქართველოს ნაციონალურ საქმისათვის ჩამოეშორებიათ ნაწილ-ნაწილად ქართველთა ტომები და დაეყენებიათ ისინი სულიერად კულტურულის გარდაგვარების ნამდვილს გზაზედ. ხომ უეჭველია, რომ ნამდვილი სულიერი და კულტურული განვითარება მეგრელებისა და სვანების შეიძლება უზრუნველ–ყოფილ იქმნეს მხოლოდ განუწყვეტელის კავშირით მრავალ-საუკუნოებით შექმნილს საზოგადოთ ქართულს ნაციონალურს კულტურასთან და მწიგნობრობასთან, რომელიც ნაყოფია სულიერის მოღვაწეობის, რაშიაც მათ დიაღაც შესამჩნევი წილი უდევსთ, ამაში გამოიხატება მათი ნაციონალური იდეალები და ეს არის მათი ღვიძლი დედა, საყვარელი აღმზრდელი მათის სულიერის არსებისა. ამგვარი ჭეშმარიტი განვითარება მეგრელებისა და სვანების, უეჭველად, ნაციონალური საქმეა, ზოგად ქართულია და პირდაპირი საგანია საზოგადო საზრუნველი ყოველთა საქართველოს ტომთათვის, რომელიც მოითხოვს მათგან შეერთებულს და შეთანხმებულს მოღვაწეობას. და რომ ეს აუცილებელი შეერთებული შრომა აერიდებიათ მეგრელებისათვის, ამისათვის ჩვენმა განმანათლებლებმა აიღეს და მეგრელებს რუსულის ალფაბეტისაგან საწერი ანბანი გამოუკოპიტეს! მაგრამ ნათქვამია (კორ. I. 15, 36): „უგუნურო, შენ რთმელი დაჰსთესი, არა ჰსცხოვნდის.“

და თესლი იგი არა აღმოცენდა... **პ**ირიქით ეს უგ-
ნურები შეეწივნენ მის აღორძინებას, რასაც ისინი
ჯვარცმასა და დახრჩობას ექადოდენ.

მაგრამ **ვ**ოსტორგოვი არც ფარავს, რომ **ს**ა-
ქართველოს საექსარხოსო არსებითაც არც კი ინტე-
რესობდა ნამდვილ **ს**აქართველოს ეკლესიით და ქარ-
თველთა ტომებით; **კ**ავკასიაში უფრო დიდი ყურად-
ღება იყო მიქცეული გადმოსახლებულ სხვა ტომთა
კაცებზედ, ვინემ ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებ-
ლებზე იმ იმედით, რომ ამ ჩამოსახლებულებში მო-
ეპოვათ ერთგული მოსამსახურენი საბრძოლველად
ადგილობრივ ეროვნებათა თვით-არსებულს ცხოვ-
რებასთან; **მ**აგრამ ეს ელემენტებიც თითქოს სასარ-
გებლო ვერ გამოდგენ და ვერ გაამართლეს მათზედ
დამყარებული იმედები. „**ს**ამწუხაროდ ბერძნები,
პირადათ მათი ინტელიგენცია, თითქმის ყოველგან
ეწინააღმდეგებოდენო სლავიანურის ენის შემოღებას
მღვდელ-მოქმედებაში და რუსულის ენის შემოღებას
შკოლებში. **მ**აშინ როდესაც თუ ვისთვისმე შეწევნა
მიუცია **რ**უსეთის პრესას, ყველაზედ უმთავრესად
უუდიდესი შემწეობა აღმოუჩენია ბერძნებისათვის“,
ღაღადებს **ვ**ოსტორგოვი (გვ. 322), რომელსაც
უთუოდ ვერ გაუგია, რომ კაცებს შეიძლება წშინ-
დათ მიაჩნდესთ იმისთანა რაიმე, რაც მათთვის უფრო
ძვირფასია, ვინემ უუდიდესი მატერიალური სიკეთე.

ეს იმედები ვეო გაამართლეს **რ**უსეთიდგან გად-
მოსახლებულმა სეკტანტებმაც, რომელთაგან დუხო-
ბორები, როგორც დეკანოზი **ვ**ოსტორგოვი ამბობს,

ამერიკაში გადასახლდენ (გვ. 328), – უთუოდ ნებაყოფლობით. და თავს ნებას ვაძლევ და დამტკიცებით ვიტყვი, რომ რუსეთიდგან გადმოსახლებული მართლ-მადიდებლები კიდევ უფრო ნაკლებად გაამართლებენ ხსენებულს შავად-მღელვარ იმედებს ამიერ კავკასიაში, რადგან აქ სამუდამოთ გადმოსახლებულ რუსებს ორი-სამი დგმის შემდეგ ებადებაო თავისი საკუთარი ადგილობრივი რეალური ინტერესები, მატერიალური და სულიერი, რომელთაც არავითარი საერთო რამე არ ექნებათ იმ უნიადაგო რუსეთელ ნაციონალისტურ ტენდენციებთან, რომელშიაც თავს იფარვენ განმხრწნელი, საზოგადოებრივობის წინაადმდეგი ელემენტები.

მაგრამ ჩვენ მაინც დიდ მნიშნველოვანად მიგვაჩნია, რომ როდესაც საქართველოს ეკლესიის მკვიდრ შვილებს ძლიერ გაჭირვებით ეძლევათ საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლებში შესვლის ნება და ბევრს ადგილას საქართველოში სრულიადაც არ დაუარსებიათ ამგვარი შკოლები, „ამიერ კავკასიაში ამ ჟამად არ მოიპოვება არც ერთი უუმცირესი, ანუ ახლად დაარსებული გადმოსახლებულ რუსთა სოფლები, სადაც, როგორც კომპეტენტურად განაცხადებს დეკანოზი ვოსტორგოვი (გვ. 328), არ მუშაობდეს საეკლესიო შკოლა, რომელიც შეფარებია ჯერჯერობით საჩქაროდ შეწყობილს ქოხს ქვეშ. ამნაირი შკოლები იხსნებიან თვით ეკლესიის აშენებამდის და ეკლესიის მსახურთა მისვლამდის.“ აი სწორედ ამგვარის მიმარ-

თულებით მოქმედებდენ ზედმიყოლით სამი ამიერ **კ**ავკასიის მწყემსთმთავარი, რომელნიც საქართველოს ექსარხოსებად იყვნენ ამ უკანასკნელის თორმეტის წლის განმავალობაში, როდესაც გაძლიერდა რუსთა გადმოსახლება ამ მხარეში.

არ ვიცი, რომელი ადგილია დეკანოზის **ვ**ოს-ტორგოვის სტატიაში უფრო მეტად ღირსი საზო-გადოებრივის ყურადღებისა და უფრო ნამდვილად გამომხატველი და დამახასიათებელი მსოფლიო აზ-როვნებისა პირადათ საეკლესიო საქმეთ-მმართველთა, უფრო ნამდვილად გამომააშკარევებელი მათის სავ-სებით ანტიქრისტიანულის მხედველობისა...

შეხედეთ, მაგალითად, როგორის დაუფარავის მოწონებით იხსენებს დეკანოზი **ვ**ოსტორგოვი **ო**ს-მალეთის ბრძნულს მოქმედებას **ს**აქართველოს ზო-გიერთ ნაწილში ქრისტიანობის მოსპობისათვის (გვ. 319): „თათრები თავისებურად ბრძნულად იქცეოდენ თავის მაჰმადიანობის გავრცელების საქმეში: ქრის-ტიანებს ისინი დროზედ ძალას ატანდენ, რომ თვითონ მათ გაედევნათ მართლმადიდებელი ეპისკოპოსები, აღუკრძალეს მათ ახალი ღვდლების კურთხევა, ნე-ბას აძლევდენ, რომ მათის მხრიდგან გაეტანათ სა-ეკლესიო წმინდა ნივთები, ხატები, წმინდათა ნაწი-ლები და სხვ., – და ეს სიწმინდენი აქ ძალიან ბევ-რი იყო, – შემდეგ ქართველებს თათრული სახელები დაარქვეს, ძალდატანებით წინადაცვეთეს, ცოლებად თათრის ქალები შერთეს, თითოეულს მათგანს ერ-თი კი არა, რამდენიმე, და აი ამისთანა ცვლილე-

ბამ მათს ცხოვრებასა და მრთელს წეს-წყობილება-
ში, თუმცა უნდა გვიკვირდეს, ქართველები ჩქარა
გაამაჰმადიანა. ვინც გამაჰმადიანებას ეწინააღმდეგე-
ბოდა, ნება ეძლეოდათ, სხვა ქრისტიანებრივი სარ-
წმუნოება მიეღოთ: ყოველს ღონეს ხმარობდენ და-
ეთრგუნათ მართლმადიდებლობა, როგორც ძალა,
რომელიც ქართველებს რუსებთან აერთებდა; თათ-
რები და სპარსელები შირვანის სახანოში მფარვე-
ლობდენ სომხებს და მართლმადიდებელი, უდელე-
ბი სომეხთ სარწმუნოებაზედ გადაჰყავდათ და ახალ-
ციხის მხარეზედ კათოლიკების მისიონერებს ეხმარე-
ბოდენ. ყოველივე ეს ჩვენთვის საგულისხმო უნდა
იყოს, რომ ვიცოდეთ, თუ სად როგორ ვებრძო-
ლოთ არა მართლმადიდებელს ელემენტებსო.“ დე-
კანოზს სითავმდაბლის გამო დაუკლია აქ. შემდეგი
სიტყვები: „და განსაკუთრებით სხვა ენაზედ მოლა-
პარაკე მართლმადიდებლებს, ე. ი. ყველაზედ უწი-
ნარეს ქართველებს.“ მაგრამ მკითხველს ნუ შეაშ-
ფოთებს ეს ქებათ-ქების გალობა მაჰმადიანთა სიბრ-
ძნის წინაშე, რომელიც გვესმა უწმინდესის სინოდის
რჩეულის მეცნიერისაგან *). ეს გალობა პირბადიანი
ქებაა იმ საეკლესიო მიმართულებისა, როომლის წარ-
მომადგენლად კავკასიაში დანიშნულია დეკანოზი
ვოსტორგოვი. მას რომ ნაძალადევი თავმდაბლობა
არ დაეწყო, ადვილად შეეძლო, რასაკვირველია, და

---

*) მე სრულიად არ შევეხები იმ კითხვას, თუ რამდე-
ნად ეთანხმება ეს ვოსტორგოვის დახატული მაჰმადიანთა
სიბრძნე ნამდვილს რეა ·· ურის ისტორიის სურათს.

სრული უფლება ჰქონდა, ეთქვა, mutatis mutandis, იგივე ქებათ-ქება თვითონ თავისთვის და თავის თანამოაზრეთათვის: „ჩვენ, რუსები, თავისებურად, აგრეთვე ბრძნულად, მივუძღოდით მართლმადიდებელთა საქმეს კავკასიაში. თათრები მაჰმადიანები არიან, ჩვენ ისინი არც გვექიშპებიან და არ გვმტრობენ; ჩვენი მტერები არიან მართლმადიდებლობისგან განდგომილი სომხები და მართლმადიდებელი, მაგრამ სხვა ენაზედ მოლაპარაკე, ქართველები. ამათ აქვსთ პოლიტიკურიცა და ლიტერატურული ტრადიციებიც (გვ. 308). მართალია, ყოველივე ეს მათ აქვსთ მცირეოდენის მასშტაბით, მაგრამ ესეც საკმაოა, რომ ასაზრდოოს მათი ეროვნული ცნობიერება (გვ. 309). ჩვენ უკვე დავხურეთ სომხური სასულიერო შკოლები, გადავასახლეთ სომეხთა ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები და სომეხთა სოფლის გლეხობა უმიწაწყლოთ ისეთს გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, რომ მრთელის სოფლობით იძულებული შეიქნა უარეყო თავისი საუკუნოებით შეთვისებული სარწმუნოება, რომელზედაც დამყარებული იყო მათი მემკვიდრეობითი ეთიკური მსოფლიო აზროვნება, რომ მოეპოვებია შიმშილისაგან გადარჩენის საშუალება ახალის სახელმწიფო სარწმუნოების მიღებით და თან ხმამაღლა ღაღადებით: ჩვენ გარუსება გვინდა (გვ. 333), სწორედ ისე, როგორც ბრძნულს ოსმალეთში. ეს კიდევ ცოტაა, ჩვენ მოვახერხეთ და გამოვგლიჯეთ სომეხთა ეკლესიას უფლება, რომლის ძალით ისინი თავის ქონებას

პატრონობდენ, – უფლება რუსეთის კანონებით დამ-
ტკიცებული, კიდევ ხელმეორედ გადავასახლეთ სომ-
ხების ეპისკოპოსები და არქიმანდრიტები, სომეხთა
პატრიარქს დიდის სიხარულით ნებას მივსცემდით,
რუსეთიდგან გასულიყო და რაც წმინდათ მიაჩნდა
ყოველიფერი თან წაეღო. **ს**აქართველოს ეპისკოპოსე-
ბის გადასახლება სრულიად არ გვჭირია, ისინი ჩვენ-
განვე დაყენებული არიან, მაგრამ რასაკვირველია
ჩვენის შეხედულებისამებრ და იმდენი რიცხვით,
რამდენიც ჩვენის განზრახულებისათვის საჭირო აყო;
ნელნელა მათს ადგილებზედ რუსი ეპისკოპოსები
დავაყენეთ, ან და ქართველები ჩვენს დარჯაკში
ამოსხმული, და რომელიც ამათგანი ცოტაოდნად
უკუღმართი გამოდგა, არ დაგვიკარგავს, ისინი ჩვენ
შორეულს სადმე ადგილზედ გადაგვყავდა. ქართუ-
ლი ნათლის სახელების დარქმევა აღვკრძალეთ, იმ
მიზეზით, რომ ისინი რუსულს კალენდარში არ იხ-
სენებიან. **ს**ამწუხაროდ მათ ნაციონალური ტრადი-
ციები აქვსთ და თვითცნობიერებაც. **მ**აგრამ ჩვენ
ყოველგან აღვძარით ტომებრივი გრძნობები იმ იმე-
დით, რომ ტომი ტომზედ აღდგება და ძმა ძმაზედ.
დიდის სიხარულით ჩვენ ყოველგვარის პროპაგანდის
ნებას მივსცემდით არა მართლმადიდებელს სომხო-
ბაში, რომ მათ შორის აღმოფხვრილიყო ნაციონა-
ლური თვითცნობიერება. **ა**მ განზრახვით ჩვენ ძლი-
ერ ლმობიერად ვეპყრობოდით კათოლიკებს ამიერ
კავკასიაში; თუმცა ჩვენ უარვჰყოფთ კათოლიკობას,
მაგრამ გულში კი ახლავე მზადავართ თაყვანივსცეთ

რომთა **პ**აპას, რომელსაც შეუძლია შეგვიმსუბუქოს ჩვენი სამძიმო პოლიტიკური მდგომარეობა, გამოანაწილოს კათოლიკები ერთ სამწყსოდ საკუთარის ეპისკოპოსით, - თუნდ ორის დაუმოკიდებელის ეპისკოპოსით, ქართველთ-კათოლიკეთა და სომეხთ-კათოლიკეთა, და ამით კიდევ უფრო შეასუსტოს, ჩვენის აზრით, ნაციონალურ-კულტურული მისწრაფება სომეხთა და ქართველთა“·

მაგრამ იქნება **ვ**ოსტორგოვს სასულიერო შკოლათა სამმართველო პოლიტიკა ნებას აძლევდა, თუ სხვაგან არა, **ს**აქართველოს ეთნოგრაფიულს ფარგალში მაინც, ნამდვილად ესწავლებინათ მოწაფეთათვის ნაციონალური სალიტერატურო ენა მრთელის **ს**აქართველოისა, ქართული საეკლესიო ენა? იყო დრო, როცა ეს მწამდა და მიხაროდა კიდეც, რომ ამაში მაინც გამოიჩინეს დიდსულოვანობა **ს**აქართველოს ეკლესიის საქმეთა მმართველებმა, ვსთილობდი, რომ ჩვენს სამშობლო სოფელში „**ს**აყვავის–ტყეში“ სამრევლო შკოლა გაეხსნათ. **ა**მგვარისავე აზრის ყოფილიყო მაშინ საერო მთავრობაც ამიერ **კ**ავკასიაში, როგორც სჩანს **ვ**ოსტორგოვის სიტყვებისაგან (გვ. 332): „ამიერ **კ**ავკასიის გუბერნატორებმა 1897 და 1898 წლებში უქვეშევრდომილესად წარდგენილს წლიურს ანგარიშებში აღნიშნეს ეს მოვლენა და ის დასკვნა გამოიყვანეს, რომ საეკლესიო შკოლები ამიერ **კ**ავკასიაში **რ**უსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებაო და ამიტომ უნდა დაიხუროსო.“ თითქმის ამიერ **კ**ავკასიის გუბერნატორებ-

საც, როგორც სჩანს, კარგად ვერ გაეგოთ ის ნამ-
დვილი იეზუიტური პოლიტიკა საეკლესიო შკოლე-
ბისა, რომლის ხელმძღვანელად იყო ვოსტორგოვი.
„საჭირო იყო მომეტებული შრომა ხუთის წლის
განმავალობაში, რომ ეს ბრალდებულება გაგვექრო“,
გულახდილად განაგრძობს თავის განმარტებას დე-
კანოზი: „1902 წლის დეკემბრის თვეში ისევ იმ
გუბერნატორებმა, შეკრებილმა სათათბიროდ თფი-
ლისში, ერთხმად დაადგინეს, გაორკეცონ საეკლე-
სიო შკოლებისათვის წლიური შესაწევარი საერობო
ფულებისაგან. ეს იყო უდიდესი ზნეობითი გამარ-
ჯვება საეკლესიო შკოლებისა საექსარხოსოში და
ამასთანავე უმაღლესი ზნეობითი ჯილდო მისის ხელ-
მძღვანელებისათვის“. ამის განმარტება მეტი იქნება.
ცხადათ სჩანს, ყველანი შეთანხმდენ ქართველთა
ერის ნაციონალურ-კულტურულის განვითარების
საწინაალმდეგოდ; მაშასადამე საწინააღმდეგოდ ყო-
ველგვარის რეალურის, ცნობიერის პროგრესისა
ქართველთა შორის, საწინააღმდეგოდ თვითოეულის
თვითცნობიერის კავკასიის ეროვნებისა შეიკრა ჯო-
ჯოხეთური კავშირი კავკასიის ჩინოვნიკობისა და
ოფიციალურის საქართველოს ეკლესიის მოთავეთა
შორის. განა საჭიროა დავამატოთ ამას, რომ მრთელ-
მა გონიერად მოაზრე კავკასიამ დაინახა ამაში უღრ-
მესი ზნეობითი დაცემა საეკლესიო შკოლისა, სა-
საზოგადოთ ეკლესიისა და არსებულის ბიუროკრა-
ტიულის რეჟიმისა. და თუ მათ, ვის მიზეზითაც ეს
მოხდა, უმაღლესი ჯილდო მიეცათ და ამასთანავე

ზნეობითი, ეს გემოვნების საქმეა და საკითხის არ-
სებას არ შეეხება. ვგონებ ამას შემდეგ საჭირო არ
იყოს იმის განმარტება, თუ ქართველები და ყველა-
ზედ უწინარეს ისინი, რომელნიც თვით ვოსტორ-
გოვისაგან უფრო ნიჭიერებად ცნობილნი არიან, სა-
ხელდობრ გურულები და მეგრელები, რისთვის სცე-
მდენ მღვდლებს, მტრულად ეპყრობოდენ ეკლესიებ-
სა და საეკლესიო შკოლებს, სწვავდენ კიდეც. ახ-
ლა კი ადვილად გასაგებია ისიც, თუ მათს ამგვარს
მოძრაობასა და მღელვარებას რისთვის დაუჭირეს
მხარი „ზარმაცმა“, „უძრავმა“, „გულდინჯმა“ ქარ-
თლელებმა, როგორც ამბობს თვითონ ვოსტორ-
გოვი, და ამასთანავე, მისივე აზრით, „სიმპატიურმა“,
„გულკეთილმა“ ხალხმა, „გულწრფელმა“, „სტუ-
მართ-მოყვარულმა“, „მშვიდმა“ ხალხმა, რომელმა-
ნაც საზოგადოთ ქართველებს კარგი სახელი მოუ-
პოვა, მაგრამ ახლა დაივიწყა არა თუ ყოველივე
წყალობა ვოსტორგოვისა, არამედ „ჭანდრის ჩრდი-
ლი“, და სასიამოვნო „ქაფი ტკბილის ღვინისა“ და
სიტკბოებისაგან ძილად მირულვა და „ჭრელი შალ-
ვრები“ (გვ. 312), რომელიც საქართველოს მეცნი-
ერულად მემსწავლელს, უწმინდესის სინოდისაგან
მოვლენილს, ელანდება დაღალულს, შემოფხრეწილს
წვივებზედ, ხშირად სანახევროდ მშიერის და ოფ-
ლითა პირისა მისისათა მშრომელის ქართველის ხალ-
ხისა. მაგრამ საჭიროა დიდხანს შევჩერდეთ იმ სა-
კითხზედაც, რა მიზეზია, რომ არათუ მხოლოდ
თფილისში მართლმადიდებელთა სემინარიას, საზო-

გადო გაფიცვებზედაც დიდის ხნით უფრო ადრე, ასე ძლიერ და პერიოდულად თავბრუ ესხმებოდა, არამედ ქუთაისშიაც, სატახტო ქალაქში, ვოსტორ-გოვის დახასიათებით, იმისთანა „მკვირცხლის“ , „ცოცხალის“, „მოძრავის“ და სწავლისათვის ნი-ჭიერის ხალხისა, სახელდობრ იმერლებისა, რომელ-ნიც სასწავლებლებისათვის ფულებს სიხარულით იძ-ლევიან, სემინარიას შეუძლია იდღესასწაულოს კი-დეც თავის დახურვის დღეები. საჭირო არ არის რამე დავუმატოთ მას, რასაც კეთილშობილურის გულწრფელობით აუწყებს **urbi et orbi** მრთელს ქვე-ყანას დეკანოზი ვოსტორგოვი. მეტი იქნება ვგო-ნებ, რომ განვიმეოროთ რასაც თვითონ ვოსტორ-გოვი ამბობს (გვ. 334) საქართველოს საეკლესიო შკოლათა იდეის ილუსტრაციისათვის, რომლითაც მან დაიმსახურა ერთხმად მოწონება ამიერ კავკასიის გუბერნატორებისა. როგორ დაშორებია ყოველივე ესე მამა-პაპეულს მცნებას ქართველთა იდეალე-ბისას, რომლისგამო ძველად, ათასი წლის წინეთ, არქიმანდრიტი გრიგოლ ხანძთელი ენერგიულად უშლიდა უმაღლეს საერო მთავრობას შინაგან საეკლესიო საქმეებში გარევას. მეცხრე საუკუ-ნეში, სასულიერო კრებაზედ, რომელიც მოწვეული იყო კათოლიკოსის აღმოსარჩევად, და მამფალი გვარამ განრისხდა იმისგამო, რომ თავისი კანდიდა-ტის ეფრემის არჩევის იმედი დაჰკარგა, ხსენებული არქიმანდრიტი ხმამაღლა ეწინააღმდეგა საეკლესიო სასულიერო საქმეებში გარევას: „ხელმწიფეო, ეუბ-

ნებოდა იგი სხვათაშორის, რასთვის მიწყრები სიმარ-
თლის თქმისათვის? მართალია, ეპისკოპოსთა და წი-
ნამძღვართა უპირველეს წმინდა კრებათა ესწრე-
ბოდენ პირველი მორწმუნე მეფეები, მაგრამ, უნდა
იცოდე, არა იმისათვის, რომ გაკადნიერებულიყვენ
და სჯულის-კანონის სწავლებას შესდგომოდენ, არა-
მედ იმისათვის, რომ თვითონ ესწავლათ კრებისაგან
კანონნი სარწმუნოებისა. . . **მ**ოციქულთა და წმინდათა
მამათა სჯულის კანონებში არ სწერია, რომ ერის
კაცები მოძღვრებდენ სარწმუნოებასა. . . **ე**ს შეურაცხ-
ყოფაა სარწმუნოებისა და მოძღვართა მისთა“.
ეს მამაპაპეული მცნება ქართველთა საუკუნო იდეა-
ლებისა ვერ მოაშთო **ს**აქართველოს ეკლესიაში
ვერავითარმა **ს**პარსეთის უღლის უმძვინვარესმა მო-
მენტებმა. **დ**ეკანოზი **ვ**ოსტორგოვი, ეს მოყვარე ად-
გილობრივის ენებისა იმდენად, რამდენადაც უფრო
ადვილი მოსახერხებელია უცხო ეროვნების გულში
ჩახედვა და მისი მიმხრობა და დამონება, თვითონ-
ვე თეთრზედ შავად სწერს, რომ პირველად 1885
წელში შემოკლებული სამოსწავლო პლანი საქარ-
თველოს საეკლესიო შკოლისა შედგენილი იყო რუ-
სულის ენის ექვსი გაკვეთილით, მაგრამ ეს გაკვე-
თილები ქართულის ენის საშუალებით უნდა ესწავ-
ლებინათო და ამასთანავე ქართული ენის გაკვეთი-
ლები ცალკე კვირაში თორმეტი უნდა ყოფილიყოო
(გვ· 334). **მ**აგრამ ეს მხოლოდ გულ-უბრყვილო-
თა მხრის მოსაქცევად იყო. **რ**ასაკვირველიაო, გან-
მარტებს თვითონ **ვ**ოსტორგოვი (გვ. 334): „ეს

მხოლოდ პირველი საცადი იყო საშკოლო საქმეების ორგანიზაციისათვის. მაგრამ შემდეგ სახელმწიფო ენის სწავლების გაძლიერება საეკლესიო შკოლებში დაიწყეს 1890 წლიდგან, საქართველოსს ექსარხოსეზის არქიეპისკოპოსის ვლადიმირისა და ფლავიანის დროს, – ეხლა ესენი მიტროპოლიტებად არიან მოსკოვში და კიევში, – და განაგრძობენ ეხლანდელის არქიეპისკოპოსის ალექსის დროსაც. მრთელი თორმეტის წლის თანდათანობითმა და სისტემატიკურმა შრომამ ამ მიმართულების თანახმად იქამდის მიგვიყვანა, რომ ეხლა შესაძლო შეიქნა – გადაეცეს საღვთო სჯულის სწავლება დედა-ენის საშუალებით და აგრეთვე სწავლებაც თვით საეკლესიო დედა-ენისა საღვთო სჯულის მასწავლებელს და რუსულის ენის მასწავლებელს დაევალოს ოცდა სამი გაკვეთილის სწავლება რუსულის ენისა და სხვა საგნებისაც რუსულისავე ენის საშუალებით *). აქ განმარტება სრულიად საჭირო არ უნდა იყოს. რომ ამიერ კავკასიის გუბერნატორებისა და მათის შთამგონებელის პოლიციის მოხელეებისათვის უსაზღვროდ ესიამოვნებიათ, სააულიერო პირებმა, რომელნიც ქართულის საეკლესიო შკოლების საქმეების ხელ-

---

*) ჩვენ აქ არ შევეხებით მას, თუ ნამდვილად როგორ მოწყობილია საეკლესიო შკოლათა საქმეები საქართველოს საექსარხოსოში. ამა საქმეთა მდგომარეობა სრულიად არ ეთანხმება სანატრელს სურათს, რომელიც დაგვიხატა დეკანოზმა ვოსტორგოვმა. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა თვით იდეები ვოსტორგოვისა.

მღვანელი იყვნენ, განაძევეს დედა-ენის სწავლება ადგილობრივ საეკლესიო შკოლებისაგან, ე. ი. სიწმინდის მპარავთაებრ შემუსრეს ბურჯნი მართლ-მადიდებელის სამოციქულო ეკლესიისა. **ი**მას ნუღარ ვიტყვით, რომ ქართველებს მათის მართლმადიდებ-ლობის დასაჯილდოებლად ამ საშუალებით მეგობ-რულად და მშვიდობიანად ის საქმე უყვეს, რაც თვით **რ**უსეთის საერო განათლების წარმომადგენელ-თა არ უქმნიათ არც მაჰმადიანებისათვის, არც ებრაე-ლებისათვის და რაც მხოლოდ სომხებისათვის განი-ზრახეს და ისიც ცხადის მტრულის მოქმედებით, რადგანაც ერთობ ძნელი იყო ფარისევლებსავით სომხების მეგობრად თავის გამოჩენა.

. . . **დ**ა რა უფრო სამწუხარო უნდა იყოს იმა-ზედ, რომ დეკანოზი **ვ**ოსტორგოვი ძლიერ გახარე-ბულია წარმატებით, რომელიც ვითომც დაეტყო, მიღებულის ზომების წყალობით, ამიერ **კ**ავკასიის საეკლესიო შკოლებს და თან გვარწმუნებს (გვ. 337), რომ ეს „წმინდა საქმე არისო ეკლესიისათვის და უუდიდესი საქმე ხელმწიფისათვის“. **ჩ**ვენის აზრით კი დღესავით ნათლად სჩანს, რომ ეს საქმე „არა წმინდა საქმეა“, „მძიმე ცოდვებით აღსავსე“, წი-ნააღმდეგი ეკლესიისა, წინააღმდეგი ხელმწიფისა. **ე**ს წარმატება შეგვეძინა მართლმადიდებელი ეკლესიის მცნებათა განგებ დამახინჯებით. **ა**ნ სად არის ეს წარმატება? **„სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი? სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევა შენი?“** ძლევა არ არის და არც იქნება ეხლანდელს მდგომარეობაში

ძლევა, ვინაიდგან **კ**ავკასიის მხარეში შეიძლება მხოლოდ ერთი ჭეშმარიტი ძლევა, ერთი გამარჯვება შინაგანი, კულტურული გამარჯვება და ამგვარის გამარჯვებისათვის საჭიროა ცოდნა, მეცნიერება, ჭეშმარიტი ცოდნა, საჭიროა კიდევ სიყვარული, არა რომანტიკული, მტირალა, არა საოცნებო სიყვარული **კ**ავკასიის უენო ბუნების მშვენიერებისა, მისის გასაოცარის კლდეებისა, მთა-გორათა სურათებისა, ჭრელ შალვრებისა, ან წასრულის ცხოვრების ნანგრევებისა, არამედ საჭიროა რეალური, საქმიანი, შემოქმედებითი სიყვარული ნამდვილ ცოცხალის კაცებისა, მათის ბრწყინვალე იდეალებისა, რომელნიც, როგორც წინაპართაგან გადმოცემულნი, ან საიმედო და მოსალოდნელნი, ნაკლები არ არიან უენო ბუნების მომხიბვლველ მშვენიერებაზედ. **მ**აგრამ სადღაა ეს სიყვარული მაშინ, როდესაც თვით ეკლესია იმის მაგიერ, რომ მოჰფინოს სხივები სახარების მოძღვრებისა, განანათლოს გონება მართლმადიდებელის ერისა, რაც მას უფრო უნდა შეეფერებოდეს და უფრო უნდა შეეძლოს, ივიწყებს თავის უმაღლეს დანიშნულებასა და მოწოდებას და ზრუნავს მხოლოდ დაიმსახუროს კარგი სახელი პოლიციის თვალში და გაუგებრობის გამო უხარის ხალხის გონიერების დახშვა და დაბნელება და აღმოფხვრა სულის აღმამაღლებელის თვითცნობიერებისა მრთელს ერთმორწმუნე ქრისტიან ეროვნებაში. **ს**ადღა გვაქვს ჩვენ ცოდნა, როდესაც აგრე ცოტა უსწავლია საზოგადოთ, როგორც მას მსჯე-

ლობაზე ეტყობა, და აგრე განსაცვიფროდ ნაკლე-
ბი ცოდნა აქვს საქართველოს ეკლესიაზედ იმ მო-
ღვაწესაც, რომელიც თავისუფლად ბრძანებლობდა
საქართველოში ათს წელიწადს, იდგა საქართველოს
სასულიერო სამოსწავლო საქმეების სათავეში და
რომლის უმეცრებით აღსავსე სიტყვა საქართველო-
ზედ უპროტესტოდ მოისმინეს უწმინდესის სინოდის
წევრებმა, – ვაი, რომ ამას უნდა ვფიქრობდეთ, მა-
ზედ უფრო უმეცრებმა საქართველოს ეროვნებისა
და ეკლესიის შესახებ. მაშინ როდესაც, ვგონებთ,
ეკლესიას თვითონ უნდა განეცხადებია ავტორიტე-
ტულად, რომ თვით პიროვნებისა და ქონებათა
ხელშეუხებლობის დაცვას არავითარი აზრი არა აქვს,
ე. ი. თვით ამიერ-კავკას-ის გუბერნატორების გამ-
გეობას ეკარგება ყოველივე მნიშნველობა, თუ კი
განუზრახავსთ, რომ კავკასიის ერებს წარტაცონ
რაც მათთვის უძვირფასესია ე. ი. ზნეობითი პიროვ-
ნება და სულიერი ქონება, რისთვისაც ისინი სცდი-
ლობდენ შეექმნათ თავისი მატერიალური კეთილ-
მდგომარეობა.

და რა ქვეყანაში ვფიქრობდით ჩვენ მოქმედე-
ბას უცოდინაროდ? ომისთანა ქვეყანაში, სადაც არა
ეკლესია ნათარგმნის წერილობითის სახსოვრებით,
არამედ ადგილობრივი საზოგადოებრივი აზროვნება,
სომხის მწერლის ეღიშეს პირით, ჯერ კიდევ მეხუ-
თე საუკუნეში განუმტკიცებდა აქაურ ეროვნებათა
ცნობიერებას, რომ კაცს თუ ჭეშმარიტი ცოდნა
არა აქვს, ოცნებათა მსხვერპლად გარდაიქცევაო“,

– იმისთანა ქვეყანაში, სადაც ქართველმა პოეტმა ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გამოხატა ფოლადებრ ნაწრთობის, ხმა ტკბილის სახალხო ფორმის ლექსებით საზოგადოებრივი მსჯელობა ადამიანობაზედ: „ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა, თუ კაცი თავად არ ვარგა, ცუდია გვარისშვილობა; იმისთანა ქვეყანაში, სადაც თვით უსაშინელესის საზოგადოებრივის და პოლიტიკურის სასოწარკვეთილებისა და განწირულების დროს, სომხები ძალდატანებით განდევნილნი სამშობლოდგან მთელის სოფლობით (მაგ. შაჰაბაზის დროს), არ ივიწყებდენ გონებრივს ინტერესებს, ზურგით მიათრევდენ ხელნაწერ წიგნებს და ნუგეშობდენ ლიტერატურით, და საბრალო საქართველოს მეფეები ითმენდენ თავის საბრძანებელთა დაკარგვას, ითმენდენ თითქმის შიმშილსა და წყურვილს და ყოველგვარ სხვა უბედურობას, მაგრამ წიგნისა და კალმისთვის ხელი არ შეუშვიათ, ხშირად ქოხში, მხოლოდ ჟინჟღილის ან ჭრაქის სინათლეში ანთხევდენ ქაღალდზედ თავის მწუხარე გულის პასუხს ლექსად და პროზად·

ამ ქვეყანაში, სადაც ყოველთვის მრავალი სხვადა-სხვა მოდგმის ხალხები ყოფილან, ძველის ძველადგანვე გამეფებული იყო განსაზღვრული კულტურული ცხოვრების მიმდინარეობა, რომელიც ხელს უწყობდა და ზრდიდა კანონიერებით თანშეზომილს სხვა და სხვა ტომის ეროვნებათა საურთიერთო ცხოვრებას. აი ეს კულტურული ბურჯი უზრუნ-

ველ-ყოფდა შინაგანს მშვიდობიანს აღყვავებას თუმ-
ცა გარეშე მტერებთან ომი თითქმის ყოველთვის
შეუწყვეტელი ყოფილა. **რ**უსეთის მთავრობამ დიდის
ხნის განმავალობაში დღევანდელს მოძრაობამდისაც
ვერ მოახერხა მოესპო **კ**ავკასიაში ავაზაკობა, მაშინ
როდესაც ძველად კიდეც კეთდებოდა და კიდეც
ინახებოდა თავ-თავის ადგილას ის ნივთიერ-კულტუ-
რული საუნჯენი, რომელთა ნაშთებმა განაცვიფრა
ქრისტიანეთა ხელოვნების საუკეთესო მეცნიერები
და გული წარტაცა მათ. (საკმაოა დავასახელოთ
ისეთი მეცნიერი, როგორიც არის **ნ. პ. კ**ონდაკო-
ვი). **დ**ა შემდეგ კი ეს ნაშთები გახდა **კ**ავკასიის
ავაზაკთა და სხვა მტაცებელთაც სანუკვარ საგნად
ამ ჩვენს კულტურულ საუკუნეში, რომელსაც იქ-
ნება **ე**ვროპაში კი მოვესწარით, მაგრამ ამიერ **კ**ავ-
კასიაში ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ. **ძ**ველად ამ ქვე-
ყანაში ყოფილა არა ჩვეულებრივი მშვიდობიანად
ცხოვრების ეპოქები. **მ**აგალითად, სომხის მემატიანე
მაითარ **ა**ირივანქელი ამბობს, რომ მეთორმეტე საუ-
კუნეში **ს**აქართველოს მეფემ **გ**იორგი III- მ სრულიად
მოსპო ქურდობა და ავაზაკობა. **მ**აგრამ რა საშუა-
ლებით მოხერხდა ეს საქმე? **ს**აერობო მცველების
შემოღებით განა? დაკარგვით? საპყრობილეებით?
შეშინებით? არა, მხოლოდ ადგილობრივის ეროვ-
ნული კულტურის აღორძინებით. **ე**ს იყო ეპოქა
უმაღლესად ყვავილოვანის მდგომაოეობისა **ს**აქარ-
თველოში, მაშინ გარდაიშალა ადგილობრივი კულ-
ტურა როგორც სასულიერო და ფილოსოფიური,

ისე საერო, რომელთაც დიდი მნიშნველობა ჰქონ-
დათ ახალის იურიდიკულის ნორმების შემუშავები-
სათვის, საეკლესიო წესწყობილების დემოკრატიზა-
ციისთვის და საზოგადოთ განმტკიცებისათვის, ევო-
ლიუციურ-კულტურულის გზით და ახალის მოთხოვ-
ნილების თანახმად, საზოგადოებრივის ეთიკისა იმ
წრეებში, რომელნიც იმ დროისთვის აღიზარდენ.
განა შესაძლებელია, რომ ვისმე რეალურად მცოდ-
ნეს და შეგნებულს განეზრახა და ამიერ **კ**ავკასიაში
დასდგომოდა ეგრეთ წოდებულს რუსულ პოლიტი-
კას, ნამდვილად კი ანტირუსულს, რომელიც და-
ფუძნებულია იმ აზრზედ, ვითომც ქართველები სუ-
ლელები არიან და ვერ მიხვდებიანო. **ხ**ომ მარტო
უკიდურესის უმეცრების გამო, რომელიც ამ ბო-
ლოს დროს ერთობ გაძლიერდა, კავკასიელებზედ,
რუსეთელმა მოღვაწეებმა სრული და გულწრფელი
ნდობა ქართველებისა **რ**უსეთის მთავრობისადმი,
აღუშფოთებელი მათი მოთმინება ჩასთვალეს გამო-
სადეგ გულუბრყვილობად, რომელიც მხოლოდ ის-
ტორიულის ცხოვრების მცირეწლოვანობის, მოუ-
წიფებლობის ნიშანია და საზოგადოების განუვითა-
რებლობას მოასწავებს. **ა**მგვარად ქართველების და-
ფასება ძირითად შემცთარი აზრია, რომელსაც ად-
განან საზოგადოთ **რ**უსეთის მოწინავე კაცები მრა-
ვალის სხვა და სხვა პარტიისა და ეს აზრი ჩვეუ-
ლებრივ იმდენათ გამჯდარი აქვს თავში რუსის ინ-
ტელიგენტს, რომ დღევანდელს მომენტშიაც ბევრს
მათგანს თვით ქართველების საქციელი, შაბლონუ-

რის თეორიების წინააღმდეგი, ნამდვილის ქართ-
ველთა ცხოვრების ფაკტები, რომელიც ნამდვილად
არსებობს და ცხადზედ უცხადესია, არ მიაჩნიათ
ნამდვილად და აცხადებენ, არ არსებობსო. **ს**აკმაოა
მოვიხსენოთ, რომ ეხლაც კიდევ იბეჭდება სატახტო
ქალაქების გაზეთებში თფილისური კორესპონდენ-
ციები, რომელშიაც განცხადება ქართველებისა, რომ
მათ ავტონომია მისცენ, ისეა განმარტებული, თით-
ქოს ეს სომხების მზაკვარების შედეგიაო. **ა**სე გა-
მოდის, რომ სომხების შეგონებით ქართველმა თა-
ვად-აზნაურობამ გამოაცხადა მოთხოვნილება, რომ
საქართველოს ავტონომიის ერთეულის ფარგალში
ჩარიცხულ იქმნეს მრთელი **თ**ფილისის გუბერნია,
ე. ი. **ა**ხალციხისა და **ბ**ორჩალოს მაზრებიანათ, სა-
დაც მოავალრიცხვოვანი სოფლელი მიწის მუშა სომ-
ხობაა. **მ**აგრამ ნათქვამია, pas de science, pas de
conscience. **დ**ა აი უმეცრება, და კიდევ უფრო
მეტიც – რეალური მეცნიერების სიძულვილი შეიქმნა
რუსეთის საქმისათვის ამიერ **კ**ავკასიაში იმისი მიზე-
ზი, რომ ერთის საფეხურით დავიქვევითეთ და კი-
დევ უფრო ცუდს შინაგანს მდგომარეობაში ჩავვარ-
დით, – სახელდობრ მტკიცედ დავადექით იმ გზას,
რომ არაფერი ადგილობრივი, გინდ სანატრელიც
იყოს, არ შევისწავლოთ, ყოველიფერი ვაძაგოთ,
ადგილობრივი სასარგებლო ისტორიული ტრადი-
ციები უარვყოთ, არავითარი კულტურული რაიმე
საქმე არ დავიწყოთ, არავითარი თავისუფალი მო-
ღვაწეობის ნება ადგილობრივ ისტორიულ ეროვნე-
ბათა არ მივსცეთ.

უეჭველია, ეს არჩეულ გზაზედ მტკიცედ და-
დგომა მოითხოვდა მეცადინეობას, რომ ადგილობ-
რივის საზოგადოების მხრით არ დაგვკარგოდა მიუ-
ცილებელი შემწეობა და ამისთვის კი საჭირო იყო
შეუბრალებლად დაგვემსხვრია და დაგვეთიშა ერთ-
მანერთისაგან კულტურული კავკასია, ეს საუკეთე-
სო მარგალიტი რუსეთის სამეფო გვირგვინისა, იმ
ამაო იმედით, რომ მის ნამსხვრევებში ვიპოვნიდით
ჩვენთვის საჭირო შავს ელემენტებს; საჭირო იყო
აგვეღელვებია საპროტესტოდ ისტორიულად შექმ-
ნილს ადგილობრივ კულტურათა წინააღმდეგ სხვა
და სხვა ტომები, რომელნიც საუკუნოებით, თითქ-
მის ათას წლობით, ერთად მცხოვრებნი იყვნენ,
როგორც გვარტომობით ერთნი, ან ახლო მონათე-
სავე მოქმედებითნი წევრნი ნაციონალურ-კულტუ-
რულ მიმდინარეობათა სფერაში; საჭირო იყო ჩა-
გვენერგა ერთმანერთის იჭვი და მტრობა იმ ჯგუ-
ფებში, რომელნიც უფრო მოდიდო იყვნენ და ერ-
თობის შემქმნელი კულტურული ძალა და ღონე
შესწევდათ. მ'შვენიერებით მომხიბლველს ამიერ კავ-
კასიის ეტლში შებმულნი ადგილობრივის საუკეთე-
სო მოდგმის სხვა და სხვა ფერის ჰუნენი? რომელ-
ნიც ნელნელა, მაგრამ გზაგაუხრელად მიემართებო-
დენ საერთო იდეალისაკენ, სრულის საზოგადოებ-
რივის ძმობისაკენ ყველა კავკასიის ეროვნებათა შო-
რის, თანდათან დაემსგავსენ გაველურებულ ჯოგის
გაუწრთვნელს ცხენებსა და უგნური ფაეტონი იძულე-
ბული შეიქმნა ღვითს-რისხვის უთავბოლო ფრქვევას

მოჰყოლოდა. გამეფდა კავკასიაში ტერररორი, აუცილებელი გვირგვინი თანდათან გაძლიერებულის სულიერის დათრგუნვისა. ამ სულიერმა დათრგუნვამ ნამდვილად გაავრცელა კავკასიელთა შორის კაცობრივის ღირსების დამამდაბლებელი, ოფიციალურად დაჯილდოების ღირსად ცნობილი თვითმალულობა, რომელიც ბოლოს იეზუიტურს reservatio mentalis-ად გარდაიქმნა იმის წყალობითაც, რომ ადგილობრივ ნიადაგზედ არსებობდა ეს ზნეობითი უძლურება, როგორც ნაშთი იმ გაჭირვებულის ცხოვრებისა, როდესაც კავკასია თათართა და სპარსთა უღელს ქვეშ იტანჯებოდა. ამგვარმა კაცთა ზნეობითის არსების დამახინჯებამ ისე იმატა განსაკუთრებით უკანასკნელის მეოთხედი საუკუნის განმავალობაში, რომ არ შემიძლია წარმოვიდგინო, თუ როგორ უნდა მოხერხდეს ამას შემდეგ უწინდელის წესით აქაური ქვეყნის მართვა, სადაც ჩვენ არ შეგვიძლია ვენდოთ ვისმე, რადგანაც ზოგმა (უმეტესობა ახალი, ანუ მოსული კაცებია) აქაურობის არაფერი არ იცის, და ზოგი კი ადგილობრივ მცხოვრებთაგანი დიდის ხნის პრაკტიკით იმისთანა მასიამოვნებელი კაცები შეურჩევიათ, რომ არაოდეს ისინი ნამდვილ მართალს არ გვეტყვიან. ადგილობრივის მცხოვრებლებისათვის მიუცილებლად საჭირო იყო, რომ სასიამოვნო კაცად ეცნოთ, ამ საჭიროებისაგან მას ხომ ვერაფერი ვერ იხსნიდა, ვერაფერი ვერც განათავისუფლებდა. ამაში ვერ შეეწეოდა მას, ვერც საპატიო მატერიალური მდგომარეობა, ვერც

მისი წარჩინებულობა, ვერც საპატიო შთამომავლობა, თითქმის, ვგონებ, ვერც ოფიციალურა· ცნობილი დამოუკიდებლობა საქართველოს დამსახურებულის თავად–აზნაურობის წარმომადგენელობისა. როდესაც ცნობილი აკტი უმაღლესის მმართველისა კავკასიაში გაუგონარის განზრახულობით დაბოლოვდა, ყოველგან ერთგვარი აზრი გამოიხატა იმ გრძნობაში, რომელიც კავკასიის ადგილობრივ მკვიდრთა სხვა და სხვა წრეებში გამოიწვია ზნეობითის მხრით უცილობლად სამწუხარო შემთხვევის აუსრულებლობამ და რა.საკვირველია არა ეს ნამდვილი გრძნობები იყო გამოთქმული ადგილობრივ თავად-აზნაურთა ადრესებში, რომელიც მირთმეული იყო დანიშნულებისამებრ მაამებლობისა და ზრდილობიანობის მოთხოვნილებით. შეუძლებელი იყო საკმაოდ ჩაეთვალათ მარტო დუმილი თავის საჭიროებასა და დაჩაგრულობაზედ: ატმოსფერა იმ გვარი იყო, რომ საჭიროდ სცვნეს ხმა მაღლა განეცხადებიათ, ქართველები ბედნიერი და კმაყოფილი არიანო ეხლანდელის კავკასიის რეჟიმით და საქართველოს თავად-აზნაურობა თავის წარმომადგენელთა პირით ამის თანახმა შეიქმნა. მაგრამ ვაი, რომ შუბი ხალთაში არ დაიმალება: გამოჩნდა მისი ტარი, მოჰყვა მას შიშველი წვერი, მჩხვლეტელი სიმართლე და იგივე აზნაურობა ვეღარ პოულობს საკმაოდ თვალსაჩინო ფერადებს, რომ ცხადათ გამოხატოს თავისი უარყოფითი აზრი იმ რეჟიმზედ, რომელსაც ადრე დიდ ბედნიერებად სთვლიდა და ეძიებს, ჰოი, საშინელე-

ბავ, ავტონომიას., საქართველოს ავტონომიას. **რ**ა უნდა ექნათ ადგილობრივის შთამომავლობის ჩინოვნიკებს, რა საშინელი ტანჯვა უნდა გამოეცადათ, **რ**უსეთის საზოგადოებისათვის ეს ძნელი წარმოსადგენია. **თ**ითქმის, ვგონებ, დაუმოკიდებელი ქართველი ეპისკოპოსები იძულებული იყვნენ, ან გაჩუმებულიყვენ, ან ეწერათ მხოლოდ შესაწყნარებელი რაიმე გამეფებულის წესწყობილების შესახები. **დ**ა დღეს კიდევ მოინახება იმისთანა კაცები, რომელნიც თავის თავს ქართველების მეგობრებად სთვლიან, რომელნიც იმის დასამტკიცებლად, როომ **ს**აქართველოს ეკლესია ყვავილოვანს მდგომარეობაში არისო, გვითითებენ (Разсвѣтъ № 53) ოფიციალურად **კ**ავკასიაში დასაბეჭდათ ნებადართულს ისტორიულს ნაშრომებს ეხლანდელს სამწუხარო ეპოქაზედ, მაგალითად «შემოკლებული ისტორიული მიმოხილვა საქართველოს ეკლესიისა და საექსარხოსოსი XIX საუკუნეში» (**თ**ფილისი, 1901 წ.). **ა**ი ამისთანა მეგობრებმა კინაღამ შეაცდინეს და გაიტაცეს ქართველები „კაცთა-მძულვარების“ ქადაგებით და უნდოდათ აღემხედრებიათ ისინი სომხების წინააღმდეგ ოთხმოცდამეათე წლებში. **მ**აგრამ ქართველებმა გაიგეს, რომ ეს მეგობრები არიან „ღრუბელნი ურწყულნი, ქარისაგან მიმოტაცებულნი, სენი ზამთრისანი უნაყოფონი, ორგზის მომწყდარნი, ძირითურთ მოფსკრილნი“ (**ი**უდ. I, 12), რომ ეს მეგობრები „სიყვარულთა მათთა შებიწებულნი თანა შესცხრებიან და უშიშრად თავთა თვისთა მწყსიან“ (**ი**უდ. I, 12). **გ**აი-

გეს ქართველებმა, გაიგეს თათრებმა, გაიგეს, რაღა თქმა უნდა, სომხებმაც, უფრო გამოცდილმა ცხოვრებაში. **დ**ა ახლა კი არა, დიდი ხანია ყველამ გაიგო: ეროვნულმა თვითცნობიერებამ დიდი ბიჯი წასდგა წინ **კ**ავკასიაში. **ა**მიტომაც ცოცხალი კავკასიელი მოღვაწეები არ უნდა განისვენებდენ უდიდებულეს მავზოლეებშიაც. **ა**ნდერძი **კ**ავკასიის ცხოვრებისათვის დაუვიწყარის **ვ**ორონცოვისა კარგია, მაგრამ ნამდვილი **კ**ავკასიის ცხოვრება, **კ**ავკასიის ისტორიაში დიდებულის სახელმწიფო კაცის გარდაცვალების შემდეგ, არ გაცივებულა მისის ძეგლის კვარცხლბეკთან **თ**ფილისში. **ა**ხალი თესლები დასავლეთის **ე**ვროპისა და აგრეთვე, რასაკვირველია, კეთილშობილურის **რ**უსეთის აზროვნებისა **კ**ავკასიაში დავარდა ნოყიერს ნიადაგზედ, რომელსაც უძველესი კულტურული ქვეშეთი მისი ასაზრდოებს. **ც**ხოვრება გაფართოვდა სიგრძე-სიგანით, ფესვები ღრმად გაიდგა და წინისკენ მიისწრაფის: დაიბადა ცხოვრების ნორჩი საზოგადოებრივი ძალები, მოაკლდათ ძალა, ან ეცვალათ ფერი ძველებს და იგი ახალს ნორმებს მოითხოვს. **მ**აგრამ ჯერ კი საჭიროა, ეხლა მაინც გაიგონ რუსებმა, ნამდვილად თვალ, გამოახილონ და დარწმუნდენ, რომ **კ**ავკასია ის ქვეყანა არის, სადაც რუსები თვით **რ**უსეთის კანონების დარღვევას სწავლობდენ, ვითომც სახელმწიფო ინტერესის გულისათვის, სადაც შეხედულობა კულტურულ **კ**ავკასიის-ეროვნებათა ზედა, როგორც უენო ადგილობრივ მკვიდრთა, შეისისხლხორცა რამ-

დენისამე შთამომავლობის **რ**უსეთის კაცებმა თით-ქოს **რ**უსეთის სანაციონალო იდეალების გულისა-თვის, სადაც შეურაცხყოფა მაჰმადიანთა, ცხადი გულგაბოროტებული ურთიერთობა სომხის ეკლე-სიასთან, პირბადიანი ბრძოლა მართლმადიდებელ ქართველთა ეკლესიასთან, განიმარტებოდა ვითომც მზრუნველობით **რ**უსეთის მართლმადიდებელ ეკლე-სიისა და რუსეთის ხელმწიფის დიდებისათვის. **ე**რ-თის სიტყვით, **კ**ავკასია ის ქვეყანაა, სადაც არსე-ბითად სარევოლიუციო მოქმედებით და ნაცოდვი-ლევად გამოწყებულის საქმეებით ჩინოვნიკების ურ-დო ებრძოდა ადგილობრივს საუკუნოებით შექმნილს ბურჯებს კულტურულის ზოგად-ცხოვრებისას და მით გზა გარდაუღობა მშვიდობიანს ევოლიუციურს განვითარებას. **დ**ა მის ნაცვლად, რომ იგი გამხდარ-იყო პრაკტიკულ შკოლად, რომლისაგან გამოსულ-იყვენ გამჭრიახი სახელმწიფო საქმეთათვის კაცები, ფხიზელის საპოლიტიკო აზროვნების მექონნი და ჰუმანური იდეოლოგები დაუმოკიდებელ სოციალურ მოძღვრებათა, – ე. ი. მოღვაწენი, რომელთაც შეს-ძლებოდათ მართვა უუდიდესის მსოფლიო სახელმ-წიფოს საქმეთა, – **კ**ავკასია, ეს მიკროკოზმი, წარ-მომადგენელი მრთელის დასავლეთის **ა**ზიის კულტუ-რისა, შეიქმნა მხოლოდ ახალ წყაროდ განხრწნისა-თვის ეთიკურის ბურჯებისა, რომელზედაც აგებუ-ლია სრულიად **რ**უსეთის სახელმწიფოს წყობილება. **რ**უსეთის სახელმწიფოს იგი (**კ**ავკასია) ეხლა უმზა-დებს მიუტემნელობამდის დაბრმავებულს, შორს ვერ

მჭვრეტელს პოლიტიკოსებს და **რ**უსეთის საზოგა-
დოებას – განსაკუთრებითის ხასიათის იდეოლოგებს
კაცთა-მძულვარებისას და თავის თავს და სხვებს
ყველას – ნოყიერს ნიადაგს ხალხთა სარევოლიციო
მოძრაობისათვის. **ა**სე მარტივია და ასე უღრმესად
ჭეშმარიტია ეროვნული სიბრძნე: „რასაც დასთეს,
მასვე მომკიო“. –

უმთავრესი შეცთომები

გვერ.	სტრიქ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
16	17 და 18	მისს შინაარს	მის შინაარსს
–	20	თვითცნობიერება	თვითგამორკვევა
27	17 და 18	დღესასწაულებასა	დღესასწაულობაზედ
32	3	ცალიერია	დედა-ენა მოზარდ
–	17	სურეთის	Ასურეთის
41	6	არც გვექიშპებიან	არ გვექიშპებიან
12	21	შემცდარიყვნენ	შემცთარი იყვნენ
13	10	რვაათასი	ოთხმოცი ათასი
37	5	არსებითაც	არსებითად
61	28	მიუტემნელობამდის	მიუტევნელობამდის
62	7	მომკიო	მოიმკიო

@ი·წმტო··;
თიCთტ მომკიო.რ. --
უმთავრესი ფეცთომები
გვერ. სტრიქ დაბეჭრილია.
უნდა იყოს.

16 17? @ 18 მისსს ”შმინაარს
მის. 'მინაარსს
27 I7/ @ 18 დღესასწაულებასა დღესასწაულობაზედ
82
9 ცალი·ერია
დედა–ენა· მოზ·არდ
= 17 სურეთის
ასურეთის
411
6 არც გვექი”მჰებიან არ გვექი”მჰე·ბიან
12 2) რშემცდარიყვნენ შემცთარი იყვნენ
12
I-0 რვაათასი ”
ოთხმოცი ათასი
ე არსებითა(,
ი%XI
არსებითად
61 28 მიუტემნელობამდის მიუტევნელობამდი!
” მო მკიო..
62
—·მო.იმკიო·
=%
9მI2992
ძ 24
_ ნ/9იძCIMელ
4
!
15311
#. M(;M